საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭდვის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 15 აგვისტო. 2017 წ. №163 (8300), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თაღლითი გიორგი სიგუას „მცდარი წარმოდგენის“ შედეგი ③

დავით ნარმანია: როცა ოპოზიციას ნამუსის ნატამალიც არ გააჩნია! ④

ამერიკა მუშაობს პინცეტით, რუსეთი – ნაჯახით! ⑧

პოლიტიკური საფრთხობელა ②

პირველი ქართული ოპერის შემქმნელი ⑥

გიორგი კვირიკაშვილი: ქართველებსა და აფხაზებს შორის არ უნდა იდგეს უცხო ძალა

აფხაზეთის ომის დაწყების 25 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი განცხადებას ავრცელებს.

როგორც პრემიერი აღნიშნავს, ქართველებისა და აფხაზების ერთად ცხოვრების ისტორია სამაგალითოა და არა გვაქვს უფლება, ვიცხოვროთ ასეთ რეალობაში.

„14 აგვისტო ტრაგიკული დღეა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. 25 წლის წინ ვერ შევძელით ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება, ჩვენსა და ჩვენს აფხაზ ძმებს შორის დაწყებულმა სისხლისღვრამ უმძიმესი შედეგები მოგვიტანა. მისი შედეგების სიმძიმე როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის დღეს კიდევ უფრო თვალსაჩინოა.

ჩვენი ერთად ცხოვრების ისტორია სამაგალითოა და არა გვაქვს უფლება, ვიცხოვროთ ასეთ რეალობაში. ჩვენ შორის არ უნდა იდგეს უცხო ძალა, ეს საზიანოა ჩვენთვის – ქართველებისა და აფხაზებისთვის, ჩვენი შვილების მომავლისთვის.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ ამ უდიდესი შეცდომის გამოსწორებას და მალე დადგება დრო, როცა დავიბრუნებთ ჩვენი აფხაზი ძმების გულებს და გავაგრძელებთ ცხოვრებას საუკუნეებგამოვლილი სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით ერთიან, ძლიერ საქართველოში“, – ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაში.

გიორგი მარგველაშვილი: დადგება დღე, როცა აფხაზებსა და ოსებთან ერთად შევუდგებით ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას!

აფხაზეთის ომის დაწყების 25 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი განცხადებას ავრცელებს.

როგორც პრეზიდენტი აღნიშნავს, ძმათა შორის ომმა, რომლის გაჩაღებაში მნიშვნელოვანი როლი საბჭოური იმპერიალიზმით ნასაზრდოებმა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკამაც ითამაშა, ასეულობით ათასი ადამიანი აქცია დევნილად საკუთარ სამშობლოში.

„მეოთხედი საუკუნე შესრულდა ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენის – აფხაზეთის ომის დაწყებიდან. სისხლიანმა დაპირისპირებამ ორივე მხრიდან ათეულ ათასობით ჩვენი მოქალაქის – ჯარისკაცთა თუ მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა. მთელ ჩვენ საზოგადოებასთან ერთად, კიდევ ერთხელ მივაგებ პატივს თითოეული მათგანის ნათელ ხსოვნას.

ღრმად მწამს, რომ დადგება დღე, როცა ჩვენ აფხაზებსა და ოსებთან ერთად შევუდგებით ძლიერი, განვითარებული, დემოკრატიული და მშვიდობიანი სახელმწიფოს შენებას, სადაც ყველა მოქალაქის უსაფრთხოება და ეკონომიკური კეთილდღეობა, პოლიტიკურ უფლებათა დაცულობა, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება და გაღრმავება ყველა ჩვენგანის საერთო საქმე, წინსვლის წინაპირობა იქნება“, – აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში.

გონიერთა მოსწრებული სიტყვა

ბერნარდ შოუს ანკეტა გამოუგზავნეს. სხვა კითხვებთან ერთად იქ ერთი ასეთი კითხვაც იყო:

„თქვენ გარდა, ვინ მონაწილეობს კიდევ თქვენს სარფიან მოგებაშიო“.

შოუმ მოუგო: „მისი უდიდებულესი მეფის სახელმწიფო ხაზინაო“.

* * *

დამწყებმა ავტორმა, რომელიც უკვე უნიჭო მწერლად იყო ცნობილი, ერთხელ **მარკ ტვენს** ჰკითხა აზრი თავის იმხანად გამოსულ ახალ წიგნზე.

– ოღონდ ძალიან გთხოვთ, ყველაფერი გულწრფელად მითხარით, რასაც ფიქრობთ.

– არა, ეგ არ გამოვა, – უთხრა მარკ ტვენმა, – ბევრად უმჯობესია, რომ მეგობრებად დავრჩეთო.

* * *

ერთმა მეგობარმა რჩევა ჰკითხა **სოკრატეს**:

– როგორც დიდად ბრძენმა კაცმა, – უთხრა მან, – მირჩიე, ცოლი მოვიყვანო თუ არაო.

– მოიყვან თუ არ მოიყვან, ბოლოს მაინც მწარედ ინანებო, – მიუგო სოკრატემ.

* * *

ქალთა კლუბში მიღებაზე ერთმა ახალგაზრდა ქალმა **მარკ ტვენს** ჰკითხა:

– როგორ ფიქრობთ, ქალების ყველაზე საუკეთესო მსაჯულები თვითონ ქალებივე ხომ არ არიანო.

– არა მარტო მსაჯულები, – მიუგო ტვენმა, – ჯალათებიც ხშირად არიანო.

* * *

როგორც ცნობილია, **ბერნარდ შოუმ** უარი თქვა ნობელის პრემიის მიღებაზე, როცა ჰკითხეს, რატომ თქვი უარიო, შოუმ უთხრა:

– ეგ მაშველი რგოლია, რომელსაც მაშინ გადაუგდებენ ხოლმე დასახრჩობად განწირულს, როცა ის უკვე ნაპირთან მიცურებულიაო.

* * *

მარსელ პრუსტი ერთხელ დუელში გაიწვია ნაკლებგანათლებულმა, ოღონდ თავდაჯერებულმა მწერალმა. თავისი სავიზიტო ბარათი რომ გადასცა, მან პრუსტს აგდებულად მიმართა:

– ნებას გაძლევთ, თქვენ თვითონ აირჩიოთ იარაღის სახეობაო.

– ძალიანაც კარგი! – წამოიძახა პრუსტმა. – მე ვირჩევ ორთოგრაფიას, თქვენ უკვე მკვდარი ხართ.



უსიტყვოდ

პოლიტიკური საფრთხობელა,

ანუ გაქეციანებული სააკაშვილი ახლა ბუად უნდათ, რომ აქციონ, რათა პატარა ბავშვივით დააშინონ მეოცნებე ხელისუფლებაც და მოსახლეობაც!

უპასპორტოდ და **უსირცხვილოდ** დაალაჯებს, მთელი დასავლეთი ფეხქვეშ გაიდო, მაგრამ რა! **უნამუსო ცხენზე იჯდა, ფეხებს ატყაპუნებდაო. ანდა უნამუსოს აფურთხებდნენ, ის კი მაინც არხეინად გაიძახოდა, — იფ, იფ, რა კარგი წვიმა მოდისო... ეს თუ ვინმეზე ითქმის, რასაკვირველია, უწინარესად, საცოდავად გაქეციანებულ, მარტო სამარცხვინოდ გაკოტრებულ კი არა, სწორედაც პოლიტიკურად გაქეციანებულ სააკაშვილზე, რომელმაც, როგორც იტყვიან, ყველა ჯამში ჩააშარდ-ჩააბილწა და ყველასგან პანღურნაკრავს სუფთა წყლის დასალევი ქვეყანა ვეღარ უპოვია...**

მაგრამ სამაგიეროდ, ვირეშმაკა „კუპონა“ რომან გოცირიძის მეთავეობით შუბლისძარღვგაწყვეტილი და სინდისნამუსზე ხელაღებული „ნაციონალები“ თავიანთი ნაცარში კოვზჩავარდნილი ფიურერის ამ სავალალო მდგომარეობის ისევ სათავისოდ გამოსაყენებლად ფოჩიხობენ... ეგ თუ საქართველოში შემოვიდა, თქვენ მერე ნახეთ, რაც მოხდებაო. „ოცნების“ დაპირებებით გულამღვრეული ხალხი ქუდზე კაცი გამოვა და მთელ მსოფლიოში ამ სახელგავარდნილ კვაჭი ყალთაბანდს ისევ თავის ძვირფასად აგებულ სასახლეში დააბრუნებსო...

სწორედ ამ შიშით უნდა ავხსნათ აგრერიგად დამფრთხალი ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ფარული საუბარი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრ ავაკოვთანო, მანდ, უკრაინაში თუ როგორმე ისევ შემოაღწია ძალით თავგაუკრაინელებულმა, პრეზიდენტ პოროშენკოსგან წიხლნაკრავმა ნაკაცარმა, ქვეშაფსია სააკაშვილმა, ჩვენი ძმური თხოვნაა, რომ საქართველოს არ გადმოგვცეთ, მაგისაგან ახალ თავის ტკივილს ნუ დაგვმართებთო.

ხოლო სააკაშვილის კიდევ ერთი ქაქიანი კუდი, უკრაინის გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, ანუ სანადიროდ გავარდნილი შინ უვარგისი

ძაღლისა არ იყოს, დავით საყვარელიძე (აფსუს გვარო!), პირდაპირ აცხადებს, ჩვენ მოვემზადებით შემოდგომისთვის, რაც მთავარია, ჩვენ მიხეილს საზღვარზე შევხვდებით, ნებისმიერ შემთხვევაში შემოვიყვანთ მიხეილს, უკრაინაში ის ორი ხელით და ორი ფეხით შემოვაო, ესე იგი, წაკუზული, ოთხზე დამდგარიო.

თუმცა, ბიბლიურ სოლომონზე ბევრად გონებაგაბდღვრიალებული ზეექსპერტი, ლოგიკაგახუხული ხუხაშვილი არ გამორიცხავს სააკაშვილის უკვე აქტიურობას ქართულ პოლიტიკაში, რადგან უკრაინული პოლიტიკისთვის ის უკვე გუშინდელი დღეაო. პირდაპირ საკვირველია, საიდან ამდენი „წინასწარმეტყველება“?! თუ უკრაინისთვის ასე მალე ის უკვე გუშინდელი დღეა, საქართველოსთვის ასევე მალე როგორ უნდა იქცეს დღევანდელ დღედ?! იქნებ უფრო გასაგებად აგვიხსნა, სოლომონის შორეულო შთამომავალო, ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოში გულთმისნად მოვლენილო?!

ერთი სიტყვით, მავნებელმა ნაციონალებმა, როგორც უკვე ითქვა, თავიანთი მჩორენაჭამი ფიურერის გადარჩენისთვის, ანუ არაერთი სახელმწიფოებრივი დანაშაულის გამო საზოგადოებრივი რისხვის სახრჩობელის ყულფიდან ჩამოსახსნელად ახალ ვირეშმაკურ ხერხს მიმართეს, სააკაშვილის საქართველოსთვის გადმოცემა და კანონიერების ძელზე გასმა თვითონ საქართველოსთვისვე საშიშიაო. დაანებეთ თავი იმ ხახვს, რომელიც იმისთვის ყურებზე დასაჭრელად გინდათ, ბევრად აჯობებს, თუ ხალხს უფასოდ დაურიგებთო.

არადა, ისე ნუ იზამთ, რომ ყველასაგან ტლინკნაკრავი, ეს ცოტა არ იყოს, ფსიქიკაშენიავებული ნაპრეზიდენტალი სააკაშვილი სულაც ადგეს და ამ ხეტიალ-წანწალში ჩრდილოეთ კორეას მიადგეს. თქვენ რა, ეჭვი გეპარებათ, რომ ეგრევე გამოძებნის საერთო ენას კიმ ჩენ ინთან, რომელიც

ატომობანას ეთამაშება ქოჩორა ტრამპს, რომელმაც მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც სააკაანთ ნატამალი ასე უპასპორტოდ დაძრწის ქვეყნიდან ქვეყანაში, ძაღლადაც არ ჩააგდო, ყასიდადაც არ შეეხმიანა თავის ძველ ნაცნობს, ქობულეთში ერთად ნაპურმარილევ ამ ჩვენი გიული ალასანიას ბიჭს და ყატარში სამთავრობო დელეგაციის უხუცესი წევრის მზია წერეთლის შვილიშვილს. აბა, ეს კაცობაა?!

რასაკვირველია, არა! მაგრამ თქვენ კაცობა მერე ნახეთ, თუ ეს ავი სული, ანუ პოლიტიკური საფრთხობელა ჩრდილოეთ კორეის მოქალაქე და კიმ ჩენ ინის ძმაკაცი გახდა.

ეს მართლა ბუა, კახურად კი — ბარღოჯანა (ყვარელი მემამულეა, არ დაგავიწყდეთ!), ხელში ატომჩაგდებული, უკვე არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის გახდება საშიში.

არა, ბევრად აჯობებს, ისევ პოროშენკოსთან ჩავაშოკოლადოთ, ვიდრე კიმ ჩენ ინს დაუძმაკაცდეს.

ჩვენს მტერს, ატომით შეიარაღებული სააკაშვილი, თანაც აღარც ათასი უბედურების მკარნახებელი ამ „კუპონა“ რომან გოცირიძესაც აღარ მოიშორებს გვერდიდან.

წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩააგდებს ჩვენს საცოდავ დედამიწას ატომით შეიარაღებული ეს სამეული — კიმ ჩენ ინი, სააკაშვილი და ამ ორ ავანტიურისტს მიტმასნილი, მეტი თუ არა, არავისზე ნაკლები ავანტიურისტი გოცირიძე.

მოდი და მართლა ნუ შეგეშინდება!

ჩვენ, სააკაშვილისგან ელდანაკრავი „ოცნების“ შემყურე ქართველებს კი ისღა დაგვრჩენია, რომ ყველამ ერთხმად შევძახოთ: ბუა მოდის, ფუ ეშმაკს!

გურამ გოგიაშვილი

ჰაagის სასამართლოს 2018 წლის ბიუჯეტში აგვისტოს ომის გამოძიებისთვის საჭირო რესურსიც განისაზღვრება

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (შსს) 2018 წლის ბიუჯეტს ამზადებს, სადაც აგვისტოს ომის გამოძიებისთვის საჭირო რესურსებიც განისაზღვრება.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი ქვეყნების ასამბლეა მთლიანობაში პასუხისმგებელია იმაზე, რომ სასამართლო ფლობდეს საკმარის ფინანსურ რესურსს საკუთარი მანდატის ფარგლებში. ყველა წევრ ქვეყანას შეაქვს ფინანსური წვლილი შსს-ის ბიუჯეტში, რაც საკუთრივ მოიცავს საქართველოს სიტუაციის გამოძიების გასაგრძელებლად აუცილებელი რესურსების მობილიზებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნები არ აფინანსებენ განყენებულად საერთაშორისო სასამართლოს აქტივობებს. სასამართლო ამზადებს 2018 წლის ბიუჯეტს, რომელიც ითვალისწინებს გამოძიების გაგრძელებასა და ითანამშრომლებს ასამბლეასთან დეკემბერში ამ ბიუჯეტის დასამტკიცებლად“, — აღნიშნავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრესსპიკერი ფადი ელ აბდალა საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გამოითქვა ვარაუდი, რომ რომის სტატუტის წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც, თავის მხრივ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიებებს აფინანსებენ, შესაძლოა, შეამცირონ ბიუჯეტი სხვადასხვა რეგიონში ომის დანაშაულის გამოძიებისთვის. ამას ექსპერტთა ნაწილი სასამართლოს ზედმეტ აქტიურობას და წევრ ქვეყნებზე რუსული გავლენის ზრდასაც უკავშირებდა. შსს-ში საბიუჯეტო ცვლილებებზე საუბრები, თბილისში ჰაagის წარმომადგენლობის ოფისის გახსნის გადადებასაც მოჰყვა.

საერთაშორისო სასამართლოში აღნიშნავენ, რომ პროკურორი ფატუ ბენსუდას ოფისი 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარე გამოძიებაში დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ობიექტურობის ძირითადი და მკაცრი საფუძვლებით ხელმძღვანელობს.

ნინო ბურჯანაძე: ყველგან ჩავალ, სადაც ჩასვლა ჩემს ქვეყანას წაადგება!

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ყველა ქვეყანაში ჩავა, სადაც ჩასვლა საქართველოს წაადგება და ერთ-ერთი ასეთი ადგილი რუსეთია.

ასეთი ადგილებია აფხაზეთი და სამაჩაბლო. ასეთი ადგილები სხვაგანაც არის, მაგრამ არ შემეშინდება ამერიკის მონებად ქცეული პოლიტიკოსების კომენტარები. **„ყველაფერს გავაკეთებ, რათა ჩვენი ქვეყანა გამთლიანდეს. ჩემი, თქვენი შვილების და მომავალი თაობების წინაშე ვიცი, რომ ნამდვილად პირნათელი ვიქნები“,** — განაცხადა ბურჯანაძემ.

ცნობისთვის, „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარემ ოკუპირებულ ცხინვალსა და აფხაზეთში დაგეგმილ ვიზიტზე განაცხადა, რასაც ოსური მხარე გამოეხმაურა და ნინო ბურჯანაძეს ფაშიზმის სიმბოლო უწოდა.

საპატრიარქოში „რესპუბლიკელებს“ დაბალი რეიტინგი და „პოლიტიკური გაკოტრება“ შეასხენეს!

„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ ერთი ლიდერის დავით ბერძენიშვილის განცხადებას, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ღრმა კრიზისშია და ის შეზრდილია ქართულ ხელისუფლებასთან და უფრო მეტიც, რუსეთის გავლენა სახიფათო ხდება ქართულ ეკლესიაზე, საპატრიარქოში პასუხობენ. პატრიარქის მდივანი მამა მიქაელ ბოტკოველი აცხადებს, რომ თუ რესპუბ-

ლიკურ პარტიას რეიტინგის გაზრდა საპატრიარქოს ლანძღვით უნდა, ეს მათი საქმეა:

„უკეთესი იქნება დავით ბერძენიშვილმა და პარტიის სხვა წევრებმა თავიანთი წარუმატებლობის მიზეზი თავიანთ თავში ეძებონ და ეკლესიის საქმეების განქიქებას თავი დაანებონ. თავის თავში ეძებონ მიზეზი, თუ რატომ არიან დაბალრეიტინგულები და პოლიტიკურად გაკოტრებულები. ეს გააკეთონ მათ და ეკლესიას თავი დაანებონ. ეკლესიას აქვს თავისი გზა, რომელსაც არასოდეს არ დაკარგავს“, — აცხადებს ბოტკოველი.

საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ მუშაობას წყვეტს

საბაჟო **გამშვები პუნქტი ყაზბეგი საგანგებო მდგომარეობის გამო დროებით მუშაობას წყვეტს.** ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს:

„დარიალის ხეობაში არსებული რთული მეტეოროლოგიური ვითარებიდან გამომდინარე შექმნილი საგანგებო სიტუაციის გამო, პრობლემის აღმოფხვრამდე, საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგი“ დროებით წყვეტს მუშაობას. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“, თანამშრომლებისა და ხალხის ევაკუაცია განხორციელდა, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.



თეთრი ცმაური, რომელიც შავი დუმილით დამთავრდა!

თაღლითი გიორგი სიგუას „მცდარი წარმოდგენის“ შედეგი

ელექტრონული მუსიკის ფესტივალი GEM Fest, რომელიც უკვე 2 წელია ანაკლიაში იმართება, ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მთელი თვის განმავლობაში 6 სცენაზე 500-ზე მეტი მუსიკოსი უნდა გამოსულიყო და თავიანთი შემოქმედება უნდა წარედგინა მსმენელისთვის. მუსიკალური აქტების გარდა მრავალი გასართობი ღონისძიება იყო დაგეგმილი. მოკლედ რომ ვთქვა, ეს ერთი თვე სრული პოზიტივით უნდა დატვირთულიყო, მაგრამ...

დიახ, ფესტივალის ბოლო დღეებში საშინელი ტრაგედია მოხდა. ნარკოტიკული საშუალებების მიღების შემდეგ, 22 წლის გოგონა გარდაიცვალა და ამ საზარელი ინფორმაციის გავრცელებით, გამჟღავნდა „საიდუმლო“ რომ ფესტივალის მიმდინარეობის დროს, ე.წ. კლუბური ნარკოტიკით უამრავი ახალგაზრდა იყო მოწამლული.

სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოება, მხოლოდ ორდღიანი „შეშფოთება-აღშფოთებით“ შემოიფარგლა. სოციალური ქსელები ლამის „აფეთქდა“ ტრაგედიის განხილვით, სხვადასხვა მოწოდებებით, მაგრამ გავიდა ორი დღე, „შემოგორდა ჯეჯელავას ვაშლი“, ელენე ხოშტარიას დომინო და საზოგადოებაც მაშინვე ამ „საღადაო“ თემებზე გადაერთო.

მე არ შემიძლია ასე დავტოვო ეს უმძიმესი თემა და ამიტომ აფხაზეთის ომის დაწყების მეორე დღეს, ვაქვეყნებ ამ წერილს. წერილს, რომელიც არანაკლებ ტრაგედიას ეხება. ტრაგედიას, რომელსაც ქართველი გოგო-ბიჭების სიცოცხლე და ჯანმრთელობა მიაქვს.

22 წლის გოგონას გარდაცვალების მეორე დღეს, პირადად შევხვდი აბაშის რაიონის სასწრაფო დახმარების სამსახურის ერთ-ერთი ბრიგადის ექიმს, რომელიც თავად მორიგეობდა ანაკლიაში. როგორც მოგეხსენებათ გარკვეული გრაფიკის შესაბამისად, იქ სამეგრელო-ზემო სვანეთის ყველა რაიონის ექიმები მორიგეობენ. იმ ქალბატონმა, რომლის გვარსაც გარკვეული მიზეზების გამო არ დავასახელებ, პირდაპირ მითხრა, რომ „მარტო ჩემი მორიგეობის დროს 12 ახალგაზრდა გადავიყვანეთ საავადმყოფოში და 2 ძლივს გადავარჩინეთ. მიუხედავდ იმისა, რომ პერიმეტრზე რამდენიმე ასეული პოლიციელი მორიგეობს, საწამლავი პირდაპირ მაგიდებზე, ქაღალდის ხელსახოცებზე ყრია და პოლიციას რეაგირების უფლება არა აქვსო“.

ბუნებრივია, რომ ის უბედურება, რასაც მსგავს ღონისძიებებზე ნარკოტიკების თავისუფალი გავრცელება ჰქვია, კომპლექსურ ხასიათს ატარებს და მასთან ბრძოლა მხოლოდ სწორად დაგეგმილი სტრატეგიით შეიძლება, მაგრამ აუცილებლად უნდა გავუსვა ხაზი ჩემი ე.წ. „კოლეგების“ არაპროფესიონალიზმს და მათი მხრიდან ამ დანაშაულში უნებლიე, თუ მიზანმიმართულ მონაწილეობას.

რამდენადაც არ უნდა ვეცადო კოლეგებისთვის ბრალის შემსუბუქებას, ჩემდა სამწუხაროდ, დავინახე, რომ ყველაზე უარყოფითი ფუნქცია ტელემედიამ შეასრულა.

არა მხოლოდ იმ ე. წ. „შოუებმა“, რომელშიც მიმდინარეობდა ნარკოტიკების მოხმარების ფორსირებული პროპაგანდა, არამედ საინფორმაციო გამოშვებებმაც, რომლებმაც სრულად დაარღვიეს ინფორმაციის მიწოდების უზენაესი წესი – თანაბრობა (ბალანსი) და საინფორმაციო ველი მთლიანად დაუთმეს „ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას“. საერთოდ არ გააშუქეს ნარკოტიკების გასაღების ბაზარი. არანაირი შეკითხვა არ დასვეს იმის შესახებ, თუ საიდან ხვდება თუნდაც ე.წ „მსუბუქი“ ან „კლუბური“ ნარკოტიკი „მომხმარებელთან“.

იმის ნაცვლად, რომ კომენტარი შსს-ს შესაბამისი სამსახურის რომელიმე წარმომადგენელს გაეკეთებინა, „ჯემ ფესტის“ დამფუძნებელი გიორგი სიგუა, რომელიც წესით პროსტიტუციისა და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადგილის გადაცემის გამო ციხეში უნდა იჯდეს, „ბლატაობდა“, მთელს პასუხისმგებლობას გაუბედურებულ ახალგაზრდებს აკისრებდა და საზოგადოებას აქეთ გვამუნათებდა, ხოლო ვიღაც გაურკვეველი სქესის არსება „ხარისხიანი ნარკოტიკების“ სიმცირეზე წუწუნებდა.

და ახლაც, ამ უდიდესი ტრაგედიის შემდეგ, საინფორმაციო სივრცე დათმობილი აქვთ იმ „აქტივისტებს“, რომლებიც სავარაუდოდ, სიგარეტსაც არ ეწევიან და გაუბედურებული ოჯახების ხარჯზე საკმაოდ მსუყე გრანტებს იღებენ.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტი იმ ტრაგედიას მიეძღვნა, **იმის ნაცვლად, რომ კომენტარი შსს-ს შესაბამისი სამსახურის რომელიმე წარმომადგენელს გაეკეთებინა, „ჯემ ფესტის“ დამფუძნებელი გიორგი სიგუა, რომელიც წესით პროსტიტუციისა და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადგილის გადაცემის გამო ციხეში უნდა იჯდეს, „ბლატაობდა“, მთელს პასუხისმგებლობას გაუბედურებულ ახალგაზრდებს აკისრებდა და საზოგადოებას აქეთ გვამუნათებდა, ხოლო ვიღაც გაურკვეველი სქესის არსება „ხარისხიანი ნარკოტიკების“ სიმცირეზე წუწუნებდა.**

ხელისუფლებას აღარ მივმართავ, რადგანაც სამწუხაროდ, აზრს ველარ ვხედავ.

მოგმართავთ თქვენ – საზოგადოებას: შევეცადოთ სიკვდილის პროპაგანდის შეჩერებას! სრული ბოიკოტი გამოვუცხადოთ იმ მედიას, სადაც ჩვენი შვილების სიკვდილის პროპაგანდა იძნება!

მოდით, ვნახოთ, თუ რა თანხები ტრიალებს ამ ე.წ. მუსიკალურ ფესტივალზე და რამდენს ვიხდით ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები ჩვენი ჯიბიდან იმისთვის, რომ ვიღაც ნარკობარიგებმა და ავანტიურისტებმა ჩვენი შვილების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე ფული იშოვონ.

მუსიკალური ფესტივალი წელს საქართველოს სახელმწიფო პროექტის „Check in Georgia“-ს ფარგლებში დაიგეგმა და მისთვის 1.9 მლნ გამოიყო.

„ჩვენ შარშან ისე გავაკეთეთ ფესტივალი, რომ სახელმწიფო თანხებზე არ შეგვიწუხებია, წელს კი თანადაფინანსებით, დაახლოებით 30% დაგვიფინანსა. ჩვენ უკვე გამზადებული გვაქვს პროექტი 2018 წლის ფესტივალის, თავისი ბიუჯეტით და დარწმუნებული ვარ, რომ, სახელმწიფო დაგვეხმარება და თუ არ დაგვეხმარება, ჩვენ თავად დავფარავთ ხარჯებს. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო გააგრძელებს დახმარებას, რადგან მკაფიოდ არის გამოკვეთილი GEM fest-ის როლი ქვეყნის ტურისტული განვითარების საკითხში. 1.9 მლნ-ით დაფინანსდა წელს ფესტივალი და 20 მლნ შემოვატანინეთ მხოლოდ ტურისტებს ქვეყნის ბიუჯეტში,“ – ამბობს გიორგი სიგუა.

ამ ჟურუანტელის მომგვრელი და ბიუჯეტის შევსების იმედის მომცემი განცხადების გაკეთების შემდეგ გავიდა რამდენიმე დღე, გიორგი სიგუამ „ფირფიტა გადაატრიალა“ და თავისი „ფისკალური ანალიზი“ შემოგვთავაზა.

„არ გამოვა რომ არ ვთქვა. ისე როგორც ბევრს აქვს ჩვენს წინაშე ფინანსური ვალდებულებები, ასევე ჩვენც გაგვაჩნია იგივე სხვების მიმართ. არ გამოდგა ფინანსურად წარმატებული ერთთვიანი ფესტივალი და ეს, პირველ რიგში, იყო ჩემი მცდარი წარმოდგენის შედეგი. ყველა სიკეთესთან ერთად დაგვემატა მრავალჯერადი ფორსმაჟორი: წვიმიანი, ქარიშხლიანი, სეტყვიან-შტორმიანი და მეხიანიც კი, (მეტეორი არ მოგვხვედრია მხოლოდ) ივლისი. ფესტივალის გახსნიდან 16 დღის განმავლობაში, სულ სამი-ოთხი დღე იყო მზიანი... შემდეგ ტრაგედია... ადამიანის გარდაცვალება, მოწამვლები და შედეგად, საერთო ნერვული ფონი და ქმედებები...

მოდით, პაწია ფისკალური ანალიზი გავაკეთოთ.

კვების და სავაჭრო ობიექტები ვერ გვიხდიან იჯარის ფულს, იმიტომ რომ არა აქვთ მუშაობა, ჩვენც არ გვაქვს შემოსავალი და ვერ ვიხდით ბევრ ვალს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, უცხოელ პარტნიორებთან... (სურვილის და საჭიროების შემთხვევაში, მზად ვართ, გავასაჯაროოთ ნებისმიერი ინფორმაცია ჩვენი ხარჯების და ფინანსური ვალდებულებების, ასევე შემოსავლების შესახებ). ამ წუთსაც ამ უცხოელ პრტნიორებთან ვიმყოფები და ვცდილობ სიტუაციის დარეგულირებას.

რა არის გამოსავალი? მხოლოდ ერთი, რეალობისთვის თვალის გასწორება და სამომავლო მუშაობის დაგეგმვა. რეალობა კი არის ის, რომ მე პირადად და ჩემი გუნდი,არც ერთ ვალდებულებას არ გავურბივართ. ვგეგმავთ, გავაგრძელოთ მუშაობა ეკონომიკურად გამართლებული ღონისძიებების ჩასატარებლად, საიდანაც სარგებელს მიიღებს ყველა, დაწყებული არსებული ვენდორით (მოიჯარე), რომელმაც წელს ჩვენთან ერთად ირწმუნა, ერთთვიანი ფესტივალის სარგებლიანობა და ჩვენთან ერთადვე იზარალა ფესტივალის განმავლობაში. კარგად ავწონ-დავწონით და უახლოეს დღეებში, გამოვაცხადებთ, თუ სად, რამდენი ხნით და რა ფორმით გაიმართება მომავალი პროექტები. ისე, რომ მაქსიმალურად მომგებიანი იყოს ეს ყველაფერი ფინანსურად, როგორც ჩვენი პარტნიორებისთვის, ისე იმ ადამიანებისთვის, კომპანიებისთვის და სტრუქტურებისთვის, რომელთა წინაშეც არსებულ ვალდებულებებს არსად გავურბივართ და გარანტიას ვაძლევთ ყველას, რომ ბოლო თეთრამდე გადავუხდით ყველა ვალს,ყველა სუბიექტს და ობიექტს, თუ, რა თქმა უნდა, ამ კრიზისის შედეგად გამოწვეული რთული სიტუაციის ფონზე, ხელი არ შეგვეშლება მუშაობაში და მოგვეცემა შესაძლებლობა, რაც შეიძლება მალე კომერციულად მომგებიანი და მოკლევადიანი პროექტები განვახორციელოთ, არა სახელმწიფო არამედ, კერძო ინვესტიციით.

ჩვენი პარტნიორების და საზოგადოების მოლოდინები კი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით ვერ გამართლდა საფესტივალო დღეების განმავლობაში, აუცილებლად რეალობად იქცევა, იმ ღონისძიებებზე, რომლის გეგმაზე მუშაობაც უკვე მიდის გუნდის მიერ, თუ, რა თქმა უნდა, იქნება ნება ყველა მხრიდან, რომ იარსებოს პროექტმა, როგორც ეკონომიკური, სოციალური და ტურისტული თვალსაზრისით დიდი პოტენციალის მქონემ.“ – ნათქვამია გიორგი სიგუას განცხადების ტექსტში.

მოკლედ რომ ვთქვა – ბიზნესმა არ გაამართლა, იმდენი ვერ ვიშოვე, რამდენიც მინდოდა, სახელმწიფოს ვერაფერს მივცემ, მაგრამ გაისად სახელმწიფოს დახმარებით „კაი მაყუთს მაინც გავჭრიო.“

ნაღდი აფერისტი, თაღლითი და შარლატანი თუ ვინმეა, გიორგი სიგუა მათ შორის პირველია!

წერილის ბოლოს მინდა დავსვა ერთი მარტივი შეკითხვა:

მეოცე საუკუნის მიწურულიდან დღემდე საქართველომ შეიარაღებულ კონფლიქტებში უფრო მეტი ადამიანი დაკარგა, თუ ნარკოტიკების მოხმარების შედეგად?

მგონი, დრო, რომ სახელმწიფომ რეალურად შეხედოს არსებულ პრობლემას, დაეშვას დედამიწაზე და ნუ ჩააგდებს ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქვეყნის ბიუჯეტს ვიღაც ავანტიურისტების ხელში.

გია გაბრიჭიძე

როცა ოპოზიციას ნამუსის ნატამალიც არ გააჩნია!

დავით ნარმანია: ჩემი დაპირებების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებული ან შესრულების პროცესშია

ამ რამდენიმე დღის წინათ „საზოგადოებრივმა მაუწყებლმა“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას. დედაქალაქის პრობლემების განსაკუთრებული აქტუალობის გამო ამ გულახდილ დიალოგს ჩვენი გაზეთის მკითხველსაც ვთავაზობთ.

— ადგილობრივი არჩევნების შემდეგ თქვენ დატოვებთ თბილისის მერის თანამდებობას. პირველ რიგში, მინდა გკითხოთ — თქვენ თვითონ როგორ შეაფასებდით დავით ნარმანიას, როგორც თბილისის მერს? რამდენად შეძელით იმ დაპირებების და პროგრამის შესრულება, რომლითაც წარსდექით საზოგადოების წინაშე 2014 წლის არჩევნებზე?

— ჩემი წინასაარჩევნო დაპირებების აბსოლუტური უმრავლესობა შესრულებული ან შესრულების პროცესშია. ჩვენ წინასაარჩევნო პროგრამის შედგენისას ვიყავით საკმაოდ მოზომილები და კარგად ავწონ-დავწონეთ, თუ რის გაკეთებას შევძლებდით. აქედან გამომდინარე, ორი-სამი გამონაკლისის გარდა, შეუსრულებელი დაპირებები, პრაქტიკულად, არ გვრჩება. სამი წლის განმავლობაში ჩვენ ძალიან ინტენსიურად ვიმუშავეთ და მაქსიმალურად რაციონალურად გამოვიყენეთ ჩვენს ხელთ არსებული რესურსები. ამან მოგვცა საშუალება, რომ თითქმის ყველა დაპირება შეგვესრულებინა ან მიგვეყვანა ბოლომდე.

ჩვენ გავატარეთ სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპი — მოვახდინეთ მეტი რესურსების მობილიზაცია პრიორიტეტულ მიმართულებებზე, შევძელით ადმინისტრაციული ხარჯების დაზოგვა და გამოთავისუფლებული ხარჯების მიმართვა ქალაქისთვის სასიკეთო პროექტებზე და მესამე — ჩვენ ყველაფრის სათავეში დავაყენეთ ჩვენი თანამოქალაქეები. ყველა პროექტის განხორციელებისას ვფიქრობდით, პირველ რიგში, იმაზე, თუ როგორ გააუმჯობესებდა ეს ჩვენი თანამოქალაქეების საცხოვრებელ გარემოს. სწორედ ამ მიდგომამ მოგვცა საშუალება, რომ ქალაქში ბევრი რამ მოვაწესრიგეთ და დავძლიეთ ის უამრავი პრობლემა, რაც დაგვხვდა. მათ შორის ის საბოტაჟური გარემო, რაც ჩვენ პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში გვქონდა. აქვე ხაზს გავუსვამ — რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ქალაქში პრობლემა არ არის. ქალაქი მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება. მოსახლეობის მოთხოვნები და საჭიროებები მუდმივად იცვლება, პერიოდულად მწყობრიდან გამოდის სხვადასხვა სახის ინფრასტრქუტურა, რომელიც თავის ექსპლუატაციის ვადას ამოწურავს და ა.შ. ამიტომ, ცხადია, ქალაქს დღესაც ძალიან ბევრი საჭიროება აქვს, რომლებიც ეტაპობრივად უნდა გადაიჭრას.

— გადავიდეთ თქვენი წინასაარჩევნო პროგრამის პრიორიტეტებზე. პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი იყო გაკეთებული ეკონომიკურ ზრდაზე და დასაქმების ხელშეწყობაზე. რა გაკეთდა ამ მიმართულებით თქვენი ხელმძღვანელობით და შეგიძლიათ თუ არა, თქვათ, რომ ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების კუთხით სიტუაცია არის გაუმჯობესებული 2014 წელთან შედარებით?

— დიახ, თბილისში ეკონომიკური სიტუაცია დღეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე იყო 2014 წლამდე, თუმცა ცხადია, ეს არ არის მხოლოდ მერიის დამსახურება. არსებობს ცენტრალური ხელისუფლების ძალიან მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას და დასაქმებას, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვაქვს ეკონომიკურ ზრდაში. რამდენიმე პროგრამა, რომელიც თბილისის მერიის მეშვეობით ხორციელდება, ხელს უწყობს ქალაქში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესებას. იცით, რომ ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობა და ორი წლის განმავლობაში იაფი სესხის პროგრამაც გვქონდა. დღეს უკვე სხვა ნაწილში ვეხმარებით ამ დარგს; ასევე, ჩვენ განვკარგავთ მუნიციპალურ ქონებას და ხელს ვუწყობთ ინვესტორებს, განახორციელონ ეკონომიკური აქტივობა და დაასაქმონ ადამიანები. იგივე შეიძლება ითქვას მშენებლობის ნებართვებთან დაკავშრებითაც, რაც ასევე თბილისის მერიის კომპეტენციაა. გვაქვს ასევე რამდენიმე პროგრამა, რომელიც თბილისის მერიის ეკონომიკური სამსახურის მიერ ხორციელდება და ასევე ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ცენტრალური და ქალაქის ხელისუფლების ერთობლივი აქტიური მუშაობის შედეგია ის, რომ დასაქმების მაჩვენებელი დღეს ქალაქში გაუმჯობესებული გვაქვს 2014 წელთან შედარებით. ყოველწლიურად ჩვენს ქალაქს სულ უფრო მეტი ტურისტი და ვიზიტორი სტუმრობს და წელიწადში ტურისტების მინიმუმ 15-20 %-იანი ზრდაც ცხადია, უფრო მეტ შემოსავალს განაპირობებს. თბილისში ბოლო წლებში მომატებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი და ასევე სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც. არც ერთი ეკონომიკური მაჩვენებლის გაუარესება ქალაქში ბოლო წლებში არ აღრიცხულა. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისი არის ძალიან დიდი ეკონომიკური ცენტრი, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის სხვა ნაწილების ეკონომიკური აქტივობის გენერატორის ფუნქციასაც ასრულებს.

— თქვენს პროგრამაში თბილისის ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევად დასახელებული იყო პარკირების პრობლემა — პროგრამა გულისხმობდა ქალაქის სხვადასხვა უბნებში მიწისქვეშა და მრავალსართულიანი ავტოსადგომების მოწყობას, თუმცა, პარკირება დღემდე თბილისის უმთავრეს პრობლემად რჩება. ბევრი მოქალაქე პირდაპირ ადანაშაულებს მერიას პასიურობაში და მათ შორის —„სითი პარკის“ მიმართ შემრიგებლურ პოლიტიკაშიც. რატომ ვერ მოახერხა მერიამ დღემდე ამ პრობლემების გადაჭრა და რა გაკეთდა ამ მიმართულებით ბოლო სამი წლის განმავლობაში?

— ბევრ ჩვენგანს ოჯახში ორი-სამი მანქანა გყავდეს და პარკირების პრობლემას მხოლოდ მერიას ვაბრალებდეთ, ჩემი აზრით, არასწორია. თუ 2010 წლისთვის თბილისში ყოველდღიურად 200 000 მანქანა გადაადგილდებოდა, დღეს 500 000-ზე მეტია. ბოლო 6-7 წლის მანძილზე მანქანების რაოდენობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ერთი მხრივ, განაპირობა საცობები, ხოლო მეორე მხრივ, ეს ხელს უშლის პარკირებას. ჩვენ არ შევრიგებივართ „სითი პარკს“ და მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ ჩვენ არასდროს გვქონია ჰარმონიული ურთიერთობა „სითი პარკთან“. ყოველი ჩვენი შეხვედრა „სითი პარკთან“, სადაც ჩვენ მათ კონსტრუქციულად ვთავაზობდით ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას, მათი მხრიდან დესტრუქციულობით გამოირჩეოდა. სხვათა შორის, სწორედ ჩვენ გავასაჯაროვეთ „სითი პარკთან“ დადებული კაბალური ხელშეკრულება მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლებამ მას გრიფით საიდუმლო დაადო. ჩვენ რეალურად ფარდა ავხადეთ მათ კორუფციულ ქმედებებს. სამწუხაროდ, ამის შემდეგ, ჩვენ წინ ვერ წავედით: ჩვენ მოვამზადეთ ხელშეკრულებაში გონივრული ცვლილებების პროექტი, მაგრამ „სითი პარკი“ ამ ცვლილებებზე არ წამოვიდა, რადგან მასთან კაბალური ხელშეკრულება იყო გაფორმებული. იცით, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში ჩვენ მინიმუმ 25 მილიონი ლარის გადახდა მოგვიწევდა. ჩვენ წავედით მეორე გზით — ავირჩიეთ ქალაქში მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობის გზა — ჩვენს მიერ დაქირავებულმა კომპანიამ მოამზადა ათი ადგილი. ჩატარდა შესაბამისი ეკონომიკური კვლევა და ეს ათი ადგილი მზადაა იმისათვის, რომ გამოცხადდეს კონკურსი მრავალსართულიანი პარკინგების ასაშენებლად. ამჟამად მზადდება დოკუმენტაცია, რომელიც გულისხმობს კონკურსის პირობების დაზუსტებას, რის შემდეგაც, ალბათ ამ წლის შემოდგომაზე გამოცხადდება კონკურსი.

— 2014 წელს თქვენ გახდით იმ ქალაქის მერი, რომელსაც საცობების ქალაქსაც უწოდებდნენ. თქვენს პროგრამაში გზების გამტარიანობის პრობლემის მოგვარებას და ახალი განივი მაგისტრალების შექმნას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რომელი გზების გამტარიანობა გაიზარდა ბოლო სამი წლის განმავლობაში?

— დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. ჩვენი პირველი დაპირება იყო პუშკინის ქუჩაზე, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა, რითაც განიტვირთებოდა ეს უბანი. ეს მართლაც ასე მოხდა და დღეს რუსთაველის გამზირი და მიმდებარე ქუჩები მნიშვნელოვნად განტვირთულია. მეორე პროექტი არის შინდისი-კრწანისის დამაკავშირებელი გზა, რომლის მეშვეობითაც შინდისიდან კრწანისში (და პირიქით) მოხვედრა შესაძლებელია 4 წუთში, მაშინ, როდესაც ძველი გზით 12-15 წუთი მაინც არის საჭირო. ამ გზამ განტვირთა ქალაქის ისტორიული ნაწილი, ასათიანის ქუჩა და სხვა მიმდებარე ქუჩები, სადაც მუდმივად იყო საცობები. მესამე პროექტი, ეს არის სამება-მახათას დამაკავშირებელი გზა. დღეს სამების საკათედრო კომპლექსიდან, ანუ ზედა ავლაბრიდან მახათას მთაზე მოხვედრა სულ რაღაც 3 წუთშია შესაძლებელი მაშინ, როდესაც შემოვლითი გზებით 10-15 წუთი მაინც იყო საჭირო. ასევე, ჩვენ ფაქტობრივად თავიდან ავაშენეთ და გავხსენით აღმაშენებლის ხეივნიდან მუხათგვერდისკენ მიმავალი პანდუსი, რომელიც 25 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში გაჩერებული იყო. ამ გზამაც მნიშვნელოვნად განტვირთა უბანი საცობებისგან და გარდა ამისა, შეამცირა მომეტებული ავარიების რისკი. ჩვენ გვაქვს მომზადებული სხვა პროექტებიც, რომლებიც შემდგომ პერიოდში უნდა განხორციელდეს, მათ შორის შემიძლია დავასახელო ლაგუნა-ვერესთან გზის გაფართოების გეგმა. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები კომპანია „ვისოლთან“, რათა მოხდეს იქ არსებული ბენზინგასამართი სადგურის ჩაწევა შედარებით უკან და შესაბამისად შესაძლებელი გახდეს გზის გაფართოება. ზოგადად, გზებთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ თუ ჩვენი წინამორბედების მმართველობის დროს დედაქალაქში წელიწადში საშუალოდ ნახევარი მილიონი კვადრატული მეტრი გზა იგებოდა, ჩვენ ყოველწლიურად ერთნახევარ მილიონ კვადრატულ მეტრ გზას ვაგებთ, რამაც მოგვცა საშუალება, რომ ქალაქში გადაადგილება მნიშვნელოვნად გაადვილებულიყო.

— პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოციალური დაცვის პოლიტიკას. აქცენტი იყო გაკეთებული ქალაქის ბიუჯეტიდან დამატებითი დახმარების გამოყოფაზე სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და ა.შ. რეალურად, რა გაკეთდა თბილისში ამ მიმართულებით თქვენი მერობის პერიოდში და რამდენად გაიზარდა ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც სოციალურ დახმარებებში იხარჯება?

— ჩვენ შევიმუშავეთ ათი ახალი ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამა, რომელიც ფინანსდება ქალაქის ბიუჯეტიდან და რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრება. დღეის მდგომარეობით, ქალაქის ჯანდაცვის და სოციალური სამსახური 30-მდე პროგრამას ახორციელებს. ჩვენი დაპირება იყო, რომ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დახმარება გაგვეორმაგებინა და გავაორმაგეთ. ასევე, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ყოველი შემდგომი შვილის დაბადების შემთხვევაში გაგვეზარდა დახმარების მოცულობა. ესეც მოვახერხეთ. ჩვენი დაპირება ასევე იყო ის, რომ შშმ პირებისთვის გარემო უფრო ადაპტირებული ყოფილიყო და რამდენიმე ახალი პროგრამაც შეგვემუშავებინა მათთვის. ესეც შევასრულეთ და ზოგადად, შე-

საძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთეთ იმისთვის, რომ სოციალური მიმართულება ყოფილიყო სათანადოდ დაფინანსებული.

— ეკოლოგიური მიმართულებით თქვენი პროგრამა საკმაოდ ამბიციურ პუნქტებს შეიცავდა, რაც გულისხმობდა ზრუნვას მიწის, ჰაერისა და წყლის სისუფთავეზე. პროგრამა ითვალისწინებდა თბილისის მცირე მდინარეების დაცვის სტრატეგიის შემუშავებას, მტკვრის გამოცხადებას სარეკრეაციო ზონად, მტკვრის ნაპირზე დიდი პარკის აშენებას და ა.შ. რა გაკეთდა ან რისი გაკეთება დაიწყო ამ კუთხით ბოლო სამი წლის მანძილზე?

— ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა. მათ შორის გამოვყოფდი ქალაქის მასობრივი გამწვანების პროექტს, რომლის ფარგლებშიც, წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, სამი წლის მანძილზე ქალაქში 700 000-მდე ხე-მცენარე დაირგო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის გახარებული და როცა ეს ხეები გაიზრდება, ისინი ძალიან მნიშვნლოვანი ფაქტორი იქნება ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, შეიძლია მოვიყვანო ვერეს ხეობაში გზის ორივე მხარეს დარგული ხეები, ზეთისხილის ბაღები, რომლებიც მახათას მთაზე გავაშენეთ და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო არსებული ბაღების და პარკების მოწესრიგება. მაგალითად, შეიძლება დავასახელო თუნდაც თამარაშვილის შუაში არსებული ხეივანი, რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, ვაჟა-ფშაველას გამზირთან არსებული თარგები, თბილისის მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე გატარებული გამწვანების ღონისძიებები და ა.შ. განხორციელდა რამდენიმე სხვა პარკისა და სკვერის რეაბილიტაციაც, სადაც საჭირო იყო დამატებითი გამწვანება და ეს ეხება არა მხოლოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილს, არამედ მთლიანად ქალაქს.

— სხვათა შორის, წინასაარჩევნო პროგრამა გულისხმობდა არსებული პარკებისა და სკვერების წითელი ხაზების დადგენასაც, რომლის ფარგლებშიც აკრძალული იქნებოდა მშენებლობა და ხეების გაჩეხვა — ამის მიუხედავად, თქვენი მერობის პერიოდში არაერთხელ გავხდით პროტესტის მოწმე სწორედ ხეების ჭრის გამო. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ამ მხრივ, თბილისში სიტუაცია რეალურად გამოსწორებულია და თუ არ არის გამოსწორებული, რა იყო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი?

— რეალურად, სამი წლის განმავლობაში, თბილისში ათასი ხეც არ იქნება მოჭრილი, თუმცა, რამდენიმე შემთხვევას ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. ალბათ ეს ბუნებრივია — ჩვენ გვიწევდა გარკვეული რაციონალური არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ განვითარებასა და ეკოლოგიას შორის, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მწვანე საფარს ვინარჩუნებდით. ძალიან ბევრ დეველოპერს ვუთხარით უარი იქ, სადაც ბევრი საღი ხის მოჭრა იყო დაგეგმილი. ასევე გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა დეველოპერებს ადგილები მოვუნაცვლეთ იმისთვის, რომ შეგვენარჩუნებინა მწვანე სივრცე. წინასაარჩევნო დაპირება წითელი ხაზების დადგენასთან დაკავშირებით ეხებოდა ვაკის პარკს და დიღმის ტყე-პარკს, რაც შესრულებულია.

— ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად თქვენს პროგრამაში მითითებული იყო უკონტროლო მშენებლობა. ე.წ. „უკანონო“ და მოქალაქეებისთვის არასასურველ მშენებლობებთან დაკავშირებით თქვენი მერობის პერიოდშიც არაერთხელ გვინახავს საზოგადოების პროტესტი. შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ამ მიმართულებით მერიამ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები და თუ გადადგა, გამოსწორდა თუ არა რეალურად მდგომარეობა?

— წელიწად-ნახევრის წინ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ და ამაში ძალიან დაგვეხმარა ცენტრალური მთავრობა და კონკრეტულად პრემიერ-მინისტრი. ჩვენ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში შევზღუდეთ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (ე. წ. K2). ამ ზონაში შედის ვაკე, საბურთალო და მთაწმინდა. ასევე დიდუბის, ისნისა და კრწანისის ნაწილი. აქ მშენებლობები სტანდარტული და უბნისთვის დადგენილი კოეფიციენტით ხორციელდება. ამის შედეგად, მშენებლობა ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გარკვეულწილად შეიზღუდა და დეველოპერები გადავიდნენ ქალაქის სხვა ნაწილებში. დაიწყო ქალაქის დანარჩენი სივრცის ინტენსიური განვითარება. როგორც იცით, ამ შეზღუდვების შენარჩუნება გათვალისწინებულია ახალი გენერალური გეგმის პროექტშიც. შესაბამისად, მჭიდრო და ინტენსიური განაშენიანება მომავალში აღარ გაგრძელდება და უფრო სხვა ტიპის განაშენიანებაზე გაკეთდება აქცენტი.

— თქვენს წინასაარჩევნო დაპირებებში განსაკუთრებული აქცენტი იყო გაკეთებული ღია და გამჭვირვალე მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებაზე, თუმცა მას შემდეგ, რაც დედაქალაქის მერის პოსტი დაიკავეთ, მერია რამდენჯერმე გაეხვა კორუფციულ სკანდალებში. როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ პიროვნული გადაცდომები იყო თუ უშვებთ, რომ მერიაში შესაძლოა დღესაც არსებობდეს სისტემური კორუფციის პრობლემა?

— სისტემური კორუფცია თბილისის მერიაში ნამდვილად არ არსებობს, ხოლო ყველა ინდივიდუალური გადაცდომის შემთხვევა ოპერატიულად აღიკვეთა შესაბამისი ორგანოების მხრიდან. როცა სისტემაში 25 ათასი ადამიანი მუშაობს, იქ ყოველთვის არის შესაძლებლობა, ცალკეული თანამშრომლები არაკეთილსინდისიერად მოიქცნენ. ყველა თანამშრომელს ვერავინ გააკონტროლებს, მაგრამ რამდენჯერაც მოხდა ასეთი შემთხვევა, იმდენჯერვე ამას მოყვა შესაბამისი რეაქცია სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ჩვენ ძალიან ბევრი გავაკეთეთ იმისთვის რომ სისტემა უფრო ღია და გამჭვირვალე გამხდარიყო. გადაცდომები ხდებოდა წინა ხელისუფლების დროსაც, თუმცა ისინი თავიანთი გუნდის წევრებს არ იჭერდნენ, ან თუ იჭერდნენ, ეს ინფორმაცია საასკარაოზე არ გამოდიოდა. ჩვენი ხელისუფლების პირობებში, მაქსიმალური დემოკრატიის პირობებში, სისტემა არის ღია და გამჭვირვალე. ჩვენ კიდევ უფრო მეტიც გავაკეთეთ და თბილისის მერია შეუერთდა ღია მმართველობის ინიციატივას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინიციატივაა და თბილისი სხვა ქალაქებისთვის ხდება სამაგალითო.

— მერია ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი იმისთვის, რომ 2014 წლიდან დღემდე მერიასა და მის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მმართველობის ხარჯები ფაქტობრივად გაორმაგებულია. ადასტურებთ თუ არა ამ ფაქტს და თუ ასეა, რით ახსნით ამ ზრდას იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება ბოლო წლებში სრულიად საპირისპირო რიტორიკით გამოირჩეოდა და აქცენტს მმართველობითი ხარჯების შემცირებაზე აკეთებდა?

— ნაციონალური მოძრაობისა და მისი სატელიტური ორგანიზაციების კრიტიკა არც თვითონ სჯერათ და საზოგადოებას მით უმეტეს არ სჯერა. რეალურად, ჩვენ თბილისის მერიაში მოსვლისთანავე დავიწყეთ ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაცია. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს პირობებში მერიაში დასაქმებული ადამიანები გაცილებით ნაკლებს იღებენ შრომის ანაზღაურებისა და დანამატების სახით, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. ჩვენ მნიშვნელოვნად შევამცირეთ პრემიებისა და დანამატების ფონდი. მხოლოდ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, 22 მილიონი ლარით დავზოგეთ ადმინისტრაციული ხარჯები. მათ შორის, თანხები დაიზოგა არა მხოლოდ ხელფასების და დანამატების ნაწილში, არამედ საწვავით უზრუნველყოფის, მივლინებებისა და სხვა ნაწილში. ასე რომ, ე.წ. „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა, რომელიც ჩვენ 2015 წელს დავიწყეთ, გაგრძელდა 2016 და 2017 წლებშიც. ასე რომ, განცხადებები მმართველობითი ხარჯების ზრდასთან დაკავშირებით არის სრული დეზინფორმაცია და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. სხვათა შორის, ჩვენ შევისწავლეთ მერიის ხარჯები წინა ხელისუფლების დროს და შემიძლია დავასახელო კონკრეტული გვარები, რომლებიც ქალაქის მმართველობაში იყვნენ, მაგალითად ახვლედიანი, აბესაძე, უგრეხელიძე და ა.შ., რომლებსაც ხუთი, შვიდი და ათი ათასი ლარი აქვთ მიღებული წინასაახალწლო პრემიების სახით. ეს მაშინ, როდესაც რაიმე განსაკუთრებული ნამოღვაწარი მათი მხრიდან ჩვენ არ დაგვრჩენია. როცა ასეთი ადამიანები გამოდიან და ამბობენ, რომ თბილისის მერიაში დიდია ხელფასები და დანამატები, მათი მხრიდან ეს უბრალოდ სამარცხვინოა. ჯობია, ჯერ საკუთარ გულებში ჩაიხედონ და შემდეგ გააკეთონ ასეთი განცხადებები — თუმცა როგორც ჩანს მათ ნამუსის ნატამალიც არ აქვთ შერჩენილი.

ჩვენ რამდენიმე მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება შევძელით, რომლებიც აქედან წასვლის შემდეგაც საამაყო იქნება ჩემთვის. გარდა იმ პროექტებისა, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, გამოვყოფდი აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციას, სადაც ახალი, მნიშვნელოვანი და მიმზიდველი გარემო გავაჩინეთ თბილისელებისთვის და ტურისტებისთვის. ამასთანავე, შევინარჩუნეთ 40-ზე მეტი ძეგლიც. საგანგებოდ გამოვყოფდი პეკინის გამზირის რეაბილიტაციის პროექტს, სადაც სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს და სექტემბრისთვის დასრულდება.

— ერთი კვირის წინ, თქვენ მთავრობის სხდომაზე შეაჯამეთ თქვენი სამწლიანი მუშაობის შედგები. ყველაფრის გათვალისწინებით, რაც გააკეთეთ ან რაც გასაკეთებელი დარჩა, რას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად დედაქალაქის მერის ამპლუაში და რით შეგიძლიათ იამაყოთ ამ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ?

— ვფიქრობ, ჩვენ რამდენიმე მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება შევძელით, რომლებიც აქედან წასვლის შემდეგაც საამაყო იქნება ჩემთვის. გარდა იმ პროექტებისა, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ, გამოვყოფდი აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციას, სადაც ახალი, მნიშვნელოვანი და მიმზიდველი გარემო გავაჩინეთ თბილისელებისთვის და ტურისტებისთვის. ამასთანავე, შევინარჩუნეთ 40-ზე მეტი ძეგლიც. საგანგებოდ გამოვყოფდი პეკინის გამზირის რეაბილიტაციის პროექტს, სადაც სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს და სექტემბრისთვის დასრულდება. ასე რომ, სამი წლის მანძილზე, ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი გვაქვს განხორციელებული.

— 2016 წლის ნოემბერში, თქვენ არ გამორიცხეთ, რომ მეორე ვადითაც გეყარათ კენჭი თბილისის მერის პოსტზე, თუმცა გუნდმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო. როგორ ფიქრობთ, რა იყო ამის ძირითადი მიზეზი?

— როცა ეს განცხადება გავაკეთე, გუნდი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მომავალ კანდიდატზე. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ შესაძლოა ეს მე ვყოფილიყავი ან შესაძლოა ყოფილიყო სხვაც. ამის შემდეგ იყო კონსულტაციები და გუნდმა მიიღო გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ რომ ეს კარგი გადაწყვეტილებაა. სულ ეს არის.

— დღეს ქართველ საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ქალაქის მერი - მხოლოდ მენეჯერი, რომელიც განსაზღვრულ სამეურნეო ამოცანებს შეასრულებს, თუ ამავე დროს, პოლიტიკური ფიგურაც, რომელსაც ექნება საკუთარი მკაფიო პოლიტიკური პოზიცია და სტრატეგია ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით — თქვენ როგორ ფიქრობთ, როგორი მერი სჭირდება დღეს თბილისს და საქართველოს სხვა ქალაქებს?

— დაკვეთას აკეთებს ამომრჩეველი, ამიტომ, ჩვენ ამომრჩევლებს უნდა ვკითხოთ როგორი მერი სჭირდებათ მათ. ორივე მოსაზრებას ძალიან ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მერიის ყოველდღიური საქმიანობა უამრავ სამეურნეო გადაწყვეტილებას მოიცავს, ვფიქრობ, რომ მერი ალბათ მაინც უფრო მეურნე უნდა იყოს. მე უფრო მეურნე მერი ვიყავი და ნაკლებად — პოლიტიკოსი, თუმცა ამავდროულად, როცა ხარ ამხელა ქალაქის მერი, ხარ პოლიტიკური ფიგურაც. თუ მაინცდამაინც პროცენტულად განვსაზღვროთ, მერი 70% მეურნე უნდა იყოს და 30% პოლიტიკოსი. თუ მერი მხოლოდ პოლიტიკოსი იქნება, მას აუცილებლად დასჭირდება კარგი მეურნე ვიცე-მერის რანგში, რათა ძირითადი სამეურნეო პასუხისმგებლობები მან გადაიბაროს, ხოლო თუ მერი იქნება უფრო მეურნე ტიპი, ვიდრე პოლიტიკური ფიგურა, მაშინ პოლიტიკური საკითხები უფრო საკრებულოში უნდა გადაწყდეს.

— როგორ შეაფასებთ მმართველი გუნდის კანდიდატის — კახი კალაძის პირველ გზავნილებს და განცხადებებს თბილისის მერობის კანდიდატის რანგში?

— მე მაქვს კახისთან პერიოდული კომუნიკაცია. ვცვლით ინფორმაციას, მოსაზრებებს და ა.შ. ჩემი გადმოსახედიდან ძალიან მნიშვნელოვანია ის ინიციატივები, რომლებსაც ის ეტაპობრივად აჟღერებს. საცხოვრისის გაუმჯობესების საკითხი, ისევე როგორც ქალაქში მეტი სიცოცხლის და აქტივობის შემოტანა, არის ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანი მიმართულებები. დარწმუნებული ვარ, რომ მის მიერ წარმოდგენილი შეკრული პროგრამა იქნება საინტერესო და მისაღები ჩვენი თანაქალაქელებისათვის და ისინი გააკეთებენ შესაბამის და ადეკვატურ არჩევანს.

— ბოლო პერიოდში, მედიაში გაჟღერდა რამდენიმე შესაძლო ვერსია, თუ სად შეიძლება განაგრძოთ მუშაობა მერის თანამდებობის დატოვების შემდეგ; თქვენ რომელ სფეროში ხედავთ უფრო თქვენს თავს მომავალში და სად წარმოგიდგენიათ ან გსურთ თქვენი გამოცდილების და პოტენციალის გამოყენება?

— მედიაში გაჟღერებული ინფორმაცია ჩემი შესაძლო სამომავლო საქმიანობის შესახებ, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. ბევრი ვერსია ჭორის სახეს ატარებდა. მე ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს, თუმცა ოქტომბრის ბოლომდე, ვიდრე არჩევნები არ დასრულდება და ახალ მერს არ გადავაბარებ მმართველობას, მე ვრჩები მერიაში. მანამდე კონსულტაციებიც დასრულდება. ამიტომ, ამ ეტაპზე შედარებით ზოგადი პასუხით შემოვიფარგლები — ვიქნები იქ, სადაც ვიქნები. ეს ნიშნავს, რომ ვიქნები გუნდში, ვიქნები იქ, სადაც შევჯერდებით და სადაც არ უნდა ვიყო, ვიქნები ღირსეულად და ბოლომდე დავიხარჯები.

ესაუბრა
ზვიად ავალიანი

(იპეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

პირველი ქართული ოპერის შემქმნელი

რევაზ გოგნიაშვილი

მე-20 საუკუნის დასაწყისში ძნელად იკვლევდა გზას ქართული ეროვნული მუსიკალური ხელოვნება. ამას ხელს უშლიდა როგორც რუსეთის რეაქციული პოლიტიკა, ასევე ქართველთა მოძველებული და დრომოჭმული აზროვნება. ქართული ეროვნული მუსიკის, კერძოდ ქართული ოპერის ხსენება ზოგიერთს ღიმილსაც კი გვრიდა.

„განა ასე ადვილია ქართული ოპერის შექმნა? ეს ხომ დრამატული პიესა არ არის? აიღეთ რუსეთი, რამდენი ხანი იმეფა იქ ევროპულმა ოპერამ, ვიდრე არ გამოჩნდა რიმსკი-კორსაკოვი და სხვა კომპოზიტორები. რუსეთი ფაქტიურად ახლა იწყებს საოპერო საქმიანობას, თქვენ კი დამოუკიდებელი ოპერა გინდათ შექმნათ“, – ამბობდნენ რუსოფობიის მომხრენი. ძნელი იყო ასეთი შეხედულებების დამსხვრევა. ამას ემატებოდა ჩვენში მომძლავრებული შური და გაუტანლობა. არადა, ამ პერიოდში აქტიურად შეინიშნება ნიჭიერ თანამემამულეთა მოზღვავება, რომლებმაც ევროპასა და რუსეთში მიიღეს მუსიკალური განათლება. პირველი წლებიდანვე ქვეყნის პატრიოტი ადამიანების აქტიური მოღვაწეობის წყალობით საოპერო თეატრის სცენაზე ჩნდება ქართულ ენაზე თარგმნილი იტალიური და რუსული ოპერები. ეს იმ პერიოდისთვის ფრიად უჩვეულო მოვლენა გახლდათ. წარმოდგენისთვის საინტერესო იქნება გავყვეთ მათი დადგმის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას: 1905 წელს ქალაქ პეტერბურგის პავლოვის დარბაზში დაიდგა მირიანაშვილის მიერ თარგმნილი რუბინშტეინის „დემონი“, იმავე წელს თარგმნილი როსინის „სევილიელი დალაქი“; 1906 წელს თბილისის „არტისტული საზოგადოების“ თეატრში იდგმება „დემონი“, ამჯერად გუნიასა და კარგარეთელის მიერ თარგმნილი; ამავე წლის აპრილში – ნახუცრიშვილის მიერ თარგმნილი ჰუნოს „ფაუსტი“; ხოლო 1907 წელს – გუნიას მიერ თარგმნილი ბიზეს „კარმენი“; 1912 წელს – დოდაშვილის მიერ თარგმნილი ვერდის „რიგოლეტო“ და „ტრავიატა“; 1917 წელს – მისივე თარგმნილი დელიბის „ლაკმე“.

ასე, რომ ქართული ოპერის შექმნის დიდი სურვილი და მუხტი არსებობდა საზოგადოებაში. გამოჩნდნენ მხარდამჭერთა და ოპტიმისტთა ჯგუფი მომღერალ ვარდენ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. მათ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ თანადგომით დააარსეს ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირი, რომელმა კავშირმაც მიზნად დაისახა წმინდა ქართული ნაციონალური ხელოვნების ხელშეწყობა და განვითარება, რისთვისაც მოსახლეობაში ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გასწია.

აი, სწორედ ამ კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა პარიზის კონსერვატორიადამთავრებული, ახალგაზრდა კომპოზიტორის რევაზ გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინეს“ დადგმა, რომელიც ეგნატე ნინოშვილის ტექსტზე იყო შექმნილი. ეს გახლდათ გაზაფხულის მომყვანი პირველი მერცხლის გამოჩენა, ვისაც სრულად უნდა შეეცვალა არსებული მდგომარეობა და აეხდინა ქართველთა დიდი ხნის ოცნება. გოგნიაშვილს მეორე ოპერა „კუდიანიც“ ჰქონია მზად და თურმე მესამე ოპერის დაწერასაც ფიქრობდა, რისთვისაც აპირებდა მოგზაურობას საქართველოს რეგიონებში, რათა უფრო ახლოს გასცნობოდა მშობლიური მიწის ისტორიას, ხალხურ შემოქმედებას, მის ფოლკლორს. სურდა მათი შეგროვება და ჩაწერა, მაგრამ საშვილიშვილო საქმეს უსახსრობა უშლიდა ხელს.

რევაზ გოგნიაშვილი დაიბადა 1893 წელს თბილისში. მის მუსიკალურ მონაცემებს ყურადღება მიაქცია პეტერბურგის კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა ტერ-დავიდოვამ. 1910 წლის დასაწყისში გოგნიაშვილი შედის პარიზის კონსერვატორიაში, სადაც სწავლობდა პროფესორ პინიოსთან, კომპოზიციის კურსებს გადიოდა ვადონთან, ხოლო სადირიჟორო კურსებს – ტრაველთან. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ პარიზში დირიჟორობდა რამდენიმე დიდ ორკესტრს. 1914 წელს თბილისში დაბრუნდა, სადაც დაამთავრა ოპერა „ქრისტინე“.

იმ პერიოდში მოღვაწე ანტრეპრენიორი ლევიცკი ვალდებული იყო ქართული ოპერა რეპერტუარში შეეტანა, რადგან მისი დადგმა დიდ ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული, ამავე დროს თანახმად პირობისა, მის მიერ სახელმწიფო თეატრის იჯარით აღების შემთხვევაში, პირველ რიგში იმ დროს არსებული ქართული ოპერა უნდა დაედგა, მაგრამ მან ეს არ შეასრულა, არანაირი ყურადღება არ გამოიჩინა, ამიტომ მისი განხორციელება მომღერალ-მუსიკოსთა კავშირმა ითავა.

„ქრისტინეს“ დადგმის მოსამზადებელი სამუშაოები ნელა და რთულად მიმდინარეობდა. გამოჩნდნენ სკეპტიკოსები და მოწინააღმდეგეები. ჩვენი ნაციონალური ინტერესების მტრები ყველანაირად შეეცადნენ ხელი შეეშალათ ამ პროცესისთვის: ქართულ ენაზე შეკვეთილი აფიშები რუსულად დაბეჭდეს. ხალხს ეგონა, რუსულ ენაზე მიდიოდა ოპერა. ქალაქში გაკრული აფიშების უმეტესი ნაწილი ჩამოხიეს. რეპეტიცია ათი წუთით დაგვიანდა, ამისთვის თეატრის ხელმძღვანელობამ დიდი თანხით დააჯარიმა ორგანიზატორები. დამხმარე მუშებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და თანხის მომატება მოითხოვეს. რეკლამის მიზნით გაზეთ „ვოზროჟდენიეში“ გამოსაქვეყნებლად მიტანილი ია კარგარეთელის წერილი რედაქციის წარმომადგენელმა კამსკიმ არ დაბეჭდა. ზოგიერთმა გაზეთმა საერთოდ არ გამოაქვეყნა ინფორმაცია სპექტაკლის შესახებ, ხოლო სხვებმა მხოლოდ ერთხელ დაბეჭდეს. აშკარა იყო, რომ ვიღაცის ბოროტი ხელი მოქმედებდა.

სპექტაკლი დანიშნული იყო 1918 წლის 21 მაისს. აგერ უკვე საღამოს 8 საათია და ხალხი არსად ჩანს, ბილეთების საღაროსთან მსურველთა სიმცირე იგრძნობოდა. ღელავდნენ მომწყობი ორგანიზაციის წევრები. ვარდენ ლორთქიფანიძე თავის ადგილს ვერ პოულობდა: „როგორ ვუშველოთ ამდენ ვალებს? ხომ ხედავთ, რომ ჩვენმა მტრებმა გაიმარჯვეს!“ – გაიძახოდა აღელვებული. „ქართველებს დაგვიანება უყვართ, შეიძლება მოვიდნენ, დავუცადოთ ნახევარ საათს მაინც“, – წარმოთქვა ვიღაც იქვე მდგომმა. მონაწილე მსახიობებიც არსად ჩანდნენ. კრახი გარდაუვალი იყო. ყველა იქ მყოფი საგონებელში ჩავარდნილიყო. „რას დაფიქრებულხართ? რა დაგემართათ? ჩემი მხრივ ორმოცდაათ თუმანს ვწირავ“, – განაცხადა ხელჯოხზე დაყრდნობილმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა. ამან იქ მყოფნი გაამხნევა. ვისაც რისი საშუალება ჰქონდა, გარკვეული თანხა გაიღო. ამასობაში ხალხი ნელ-ნელა მოგროვდა და სპექტაკლი დაიწყო. ორკესტრს დირიჟორობდა კლუბის მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარე, ამ ღონისძიების ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ნიკოლოზ ქართველიშვილი, რომლის მუსიკალურმა გემოვნებამ და ლოტბარობის გამორჩეულმა უნარმა დიდი სარგებლობა მოუტანა სპექტაკლის წარმატებას.

იმდროინდელი ინფორმაციით, ორკესტრი შეწყობილად და სრულფასოვნად ჟღერდა. მასში კომპოზიტორს შემოტანილი ჰქონდა ხალხური დუდუკი, რამაც მუსიკის გარკვეულ მონაკვეთს სასიამოვნო ელფერი შესძინა. თავის სიმაღლეზე იდგა გუნდი. საინტერესო იყო ოპერაში მონაწილე მომღერლების შემადგენლობა, ეროვნება და მათი შესრულების ხარისხი. ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ აღნიშნული სპექტაკლის საერთო დონე, მხოლოდ ვეყრდნობით მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებულ შეფასებებს, ზოგჯერ არაპროფესიონალურს და არაერთგვაროვანს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მუსიკალურ სივრცეში პირველად დაიდგა ქართული დოკუმენტური ოპერა, ეს უკვე დიდ მოვლენას წარმოადგენდა იმდროინდელ საქართველოში.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: „ვიდრე შემსრულებელთა შესახებ ვიტყოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული კლუბის სცენა საზოგადოდ წარმოდგენებისთვის და განსაკუთრებით ოპერის დასადგმელად მთლად შესაფერისი ვერაა. მეორე მხრივ, ოპერაში უცხო ტომის შვილნიც მონაწილეობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, შესრულებამ მოლოდინს გადააჭარბა.

ოპერის მთავარ პარტიას ასრულებდა ქ-ნი კალანდაძე-აღასოვისა. მსახიობი ქალი რამდენადაც თავისი წმინდა, დამუშავებული ხმით ატყვევებდა მაყურებელმსმენელთ, იმდენად თავისი თამაშით ყოველი ჰანგი, ყოველი ბგერა, ყველა მიმოხვრა და ნაბიჯი, მისი სახის მეტყველება და თავის დაჭერა შეწონილ-შეთანხმებული და უნაკლო იყო; მსახიობ ქალს სავსებით შეუგნია ქრისტინეს გაწბილებული და ტანჯული სულისკვეთება. მისი მხარის დამამშვენებელი იყო მსახიობ-მომღერალი კურბატოვი. მიხედავად იმისა, რომ იგი უცხო ტომის შვილია, ჩვენი ოპერის საპატიო მუშაკად უნდა ჩაითვალოს. ბ-ნმა კურბატოვმა გვიჩვენა, ხელოვნების უანგარო მუშაკს და ბეჯითს მუშაობას, რაოდენი ნაყოფის მოტანა შეუძლია. გამოთქმა თითქმის გამოსწორებული აქვს, ძნელად შეატყობთ უცხო ტომისას. როგორც მომღერალი და როგორც მსახიობი, თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს, რაიცა ამ საღამოს დაამტკიცა დათიას როლის მშვენიერი აღსრულებით. მსახიობს სრულად შეუგნია დათია და იშვიათად შენიშნავდით სიყალბეს. უეჭველია, მის რეპერტუარში დათიას პარტია საპატიო ადგილს დაიჭერს. ვ. სარაჯიშვილის სახელი ნათელყოფს, როგორ შეასრულებდა იასონს, მან სრული ხატება მოგვცა. ქალბატონმა მიხაილოვამ სამი შეასრულა – მარიკასი, დიასახლისისა და გოგიასი და სამივე იმდენად ხელოვნურად განსხვავებული, რომ ძნელად შეატყობდით თუ სამივეს შემსრულებელი ერთი და იგივე პიროვნება იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ლიხგეიმი (სონას პარტიის შემსრულებელი, ი. დავითაშვილი (არჩილი), რომელმაც ზომიერად და სინამდვილესთან დაახლოებით განასახიერა მოქეიფე თავადი, ნ. ნიკოლაძე (დარჩო) და მუსიაჩენკო (კინტო).

იშვიათად გვინახავს ოპერა, რომლის მუსიკა ასე ჩაჰქსოვებოდეს შინაარსსა და აღებულ აზრის განვითარებას. ერთი შეხედვით, პირველი ორი მოქმედების მუსიკა თითქოს სავსებით ჩვენი მშობლიური, ნამდვილი ეროვნული – ხალხური არ არის, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ქართველ მუსიკოს-მომღერალთა კავშირმა ავტორ გოგნიაშვილს თაიგული მიართვა. დირიჟორ ქართველიშვილს კი გვირგვინი. დამსწრე საზოგადოებამ მოწონების ოვაციებით დაჯილდოვა კომპოზიტორი და შემსრულებლები.“

სპექტაკლი ერთმანეთის მიყოლებით ოთხჯერ დაიდგა. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, გულგრილი და არაკეთილგანწყობილი ადამიანების წყალობით ოპერა „ქრისტინემ“ შემდგომი არსებობა ვეღარ გააგრძელა. ახალგაზრდა კომპოზიტორს არ მისცა იმის საშუალება, რომ თუნდაც გარკვეული შესწორებებით დარჩენილიყო რეპერტუარში.

უკვე მოგვიანებით, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის მთავარი სახელოვნებო კომიტეტის კომისიის 1921 წლის 5 დეკემბრის ოქმის მიხედვით გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“ სახელმწიფო თეატრის რეპერტუარში შევიდა, რომელსაც სათეატრო სექციის გამგის ა. ახმეტელის და ხელოვნების კომიტეტის გამგის ო. ჯიბლაძის ერთობლივი განცხადება უძღოდა წინ ოპერის თეატრის გამგის პეტრე დადვაძისადმი, მაგრამ მოხდა გაუგონარი რამ, ვიღაცის მსახვრალმა ხელმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ოპერის არსებობას. მთავარმა სახელმწიფო კომიტეტმა იმავე წლის 12 დეკემბერს აღნიშნული ოპერა ამოიღო რეპერტუარიდან.

მიუხედავად უდიდესი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობისა, რევაზ გოგნიაშვილი მაინც განაგრძობდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. 1922 წელს მისი მეორე ოპერის „კუდიანის“ ფრაგმენტები რამდენჯერმე იქნა შესრულებული დირიჟორ ილჩენკოს მიერ. მომდევნო პერიოდში კომპოზიტორმა 600-მდე საორკესტრო მინიატიურა შექმნა, რომელშიც გამოყენებული იყო ქართული დრამის ელემენტები.

დიდი სინანული უნდა გამოვთქვა იმის გამო, რომ ქართულ მუსიკალურ სივრცეში უკვალოდ გაქრა და დაიკარგა ამ მართლაც ნიჭიერი კომპოზიტორის სახელი და შესაძლებლობები. და ეს ყველაფერი იმათ სინდისზე იყოს, ვინც ასეთ უმსგავსობას შეუწყო ხელი.

გელა ქოქიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

დიდი ველო-მარათონი ბაკურიანში

ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით და მთის კურორტების კომპანიის მხარდაჭერით ბაკურიანში სამთო ველო სპორტში შეჯიბრი მოეწყო.

ტურნირში 30 პროფესიონალი ველომრბოლელი იღებდა მონაწილეობას. მარათონი დიდველის ველობილიკზე მოეწყო. ტურნირის მონაწილეებმა 2.7-კილომეტრიანი რთული რელიეფული მონაკვეთი დაფარეს. გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცათ. ბაკურიანში ღონისძიების გამართვის მიზანია ზაფხულში კურორტის პოპულარიზაცია და სპორტის ექტრემალური სახეობის ხელშეწყობა. ველოპარკი ბაკურიანში 2016 წელს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო.

ველომარათონის სპონსორია: „გუდაური ინნი“, ალპინა და სპორტული მაღაზია „ველო+“. მთის კურორტების კომპანიის მონაცემებით, 2017 წლის 7 თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბაკურიანს 77%-ით მეტი ვიზიტორი ეწვია.

დენისა და წყლის ტარიფი 3-წლიანი იქნება

2018 წლიდან დენისა და წყლის ტარიფებს 3 წლით დაადგენენ. ამჟამად სემეკი ყოველი წლის ბოლოს ახდენს ხელახალ გადაანგარიშებას და, შესაბამისად, მუდმივად მიმდინარეობს კომუნალური გადასახადების გაძვირების ირგვლივ მანიპულაციები.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა კომისიამ ტარიფების გაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია 10 აგვისტოს დაამტკიცა. იგი ითვალისწინებს როგორც წყალმომარაგების სექტორში რეგულირების 3-წლიანი პერიოდის შემოღებას, ასევე დენის ტარიფების იმავე პერიოდულობით დადგენას.

აღნიშნული მეთოდოლოგიით წყალმომარაგების განაწილების ლიცენზიატებს ტარიფები დაუდგინდებათ 2018 წლის 1 იანვრიდან რეგულირების სამწლიან პერიოდზე და კომისია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გადახედავს და მოახდენს დადგენილი ტარიფების კორექტირებას რეგულირების პერიოდის დასრულებამდე.

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო პირველი რეგულირების სამწლიანი პერიოდი განისაზღვრა 2018 წლის 1 იანვრიდან.

პარალელურად მარეგულირებელმა კომისიამ ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებში ცვლილებები შეიტანა, რაც ითვალისწინებს ელექტროენერგიის წარმოებისა (ჰიდროგენერაცია) და გადაცემის ლიცენზიატი საწარმოებისთვის ტარიფების დადგენას რეგულირების ასევე 3-წლიან პერიოდზე.

აღნიშნული ცვლელებებით, კომპანიებს ტარიფი დაუდგინდებათ 2018 წლის 1 იანვრიდან 3-წლიან პერიოდზე და კომისია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გადახედავს და მოახდენს დადგენილი ტარიფების კორექტირებას რეგულირების პერიოდის დასრულებამდე.

რაც შეეხება ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებს, მათთვის ტარიფების გაანგარიშება 2014 წლიდან ხდებოდა 3-წლიან პერიოდზე, თუმცა იმავე დროს ყოველწლიურად ხდებოდა ტარიფის კორექტირება და ახალი ტარიფების დადგენა.

„ჯიბისის“ ცნობით, ახალი რეგულაციების მიხედვით, განაწილების ლიცენზიატებისთვისაც კომისია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გადახედავს და მოახდენს დადგენილი ტარიფების კორექტირებას რეგულირების პერიოდის დასრულებამდე.

გამოდის, რომ 2018 წლიდან წყლისა და ელექტროენერგიის ტარიფები მინიმუმ 3 წლით დადგინდება და აღარ შეიცვლება იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მორიგი ეკონომიკური ანდა სავალუტო კრიზისი არ დაიწყო. საინტერესოა ისიც, დეკემბერში რა გადაწყვეტილებას მიიღებს სემეკი, გაზრდის მოქმედ ტარიფებს, თუ არსებულს ძალაში დატოვებს.

ბექა დანელია



თხილის მავნებელი და სახალხო აქციები

თხილის **მავნებელი აზიური ფაროსანა ზუგდიდსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ისევ გამრავლდა და მოსახლეობაც ძალიან შეშფოთებულია. ადგილობრივები ამბობენ, მათ თხილნარებში მავნებლის უკვე რამდენიმე თაობა შეიმჩნევა. ფაროსანას კვლავ გამრავლების მიზეზად მოსახლეობა შეწამვლითი სამუშაოების დაგვიანებასა და მის უხარისხოდ წარმართვას ასახელებს.**

ზუგდიდის სოფელ კოკის მცხოვრებნი თხილისა და სიმინდის მოსავლის განადგურების გამო ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ. სხვადასხვა სახის მავნებელმა — უმეტესად კი, ე.წ. აზიურმა ფაროსანამ — წელს სოფლის მეურნეობის მთავარი პროდუქტები გაანადგურა და გლეხები შემოსავლის გარეშე დატოვა.

სოფლის მცხოვრებლები ამბობენ, რომ თხილის მავნებელ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლის სამუშაოები დაგვიანდა და ისიც მხოლოდ ერთხელ ჩატარდა, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა. კოკელები დახმარების სახით კომპენსაციას ითხოვენ.

როგორც სოფლის მკვიდრი ნონა კვარაცხელია ამბობს, გლეხების პრობლემები დღეს ხელისუფლებას არ აინტერესებს, რის გამოც იძულებული არიან საპროტესტო გამოსვლები დაიწყონ: **„ხელისუფლებას ვთხოვთ გამოყოს კომისია, შეისწავლოს, თუ რა ზარალი ნახა მოსახლეობამ. ყველას კრედიტები აქვს. ეს ხალხი არ გაჩერდება, ეს დასაწყისია“,** — აცხადებს კვარაცხელია.

„ფაროსანასთან ბრძოლა უნდა დაწყებულიყო აპრილ-მაისის თვეში, უნდა ყოფილიყო რამდენჯერმე, ახლა ჩვენთან 90% უკვე გაფუჭებულია. ერთხელ შეიწამლა და ეს იყო მხოლოდ პიარი. სახელმწიფოს ვთხოვთ, შეისმინოს ჩვენი მოთხოვნა. მივმართავთ გუბერნატორს. დღეს აქ ვართ, მაგრამ ხვალ და ზეგ გამგეობასთან დავდგებით და იქ ჩავატარებთ აქციას. მათ მივაწვდენთ ჩვენს ხმას“, — განუცხადა რადიო „თავისუფლებას“ კოკში მცხოვრებმა მერაბ თოდუამ.

ზუგდიდელები თხილნარების შეწამვლას თვეებით ადრე ელოდნენ, თუმცა ღონისძიებები მხოლოდ ივლისში ჩატარდა. იმისთვის, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე არ დადგენ, გლეხები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ წამლობის ხელახალ ჩატარებას ითხოვენ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში აცხადებენ, რომ დაზარალებულთა განცხადება განხილვის ეტაპზეა და მოხდება შესაბამისი რეაგირება. სამაგიეროდ, მოსახლეობის პრეტენზიებს წამლობის დაგვიანების თაობაზე, არ ეთანხმებიან სურსათის ეროვნულ სააგენტოში. სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგი მიმდინარეობს, რის შემდეგაც გადაწყდება, მოხდება თუ არა ხელახალი წამლობა.

დაახლოებით 1 თვის წინათ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში თხილის მავნებელ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ წარმოებული სამუშაოები შეაჯამეს. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა მაშინ აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიხედვით კამპანია წარმატებული იყო, რადგან მნიშვნელოვნად შემცირდა აზიური ფაროსანას პოპულაცია.

დავით ბექაური

14-მა უცხოელმა ინვესტორმა კაფე-ბარები დახურა

14-მა უცხოელმა ინვესტორმა პროტესტის ნიშნად აღმაშენებლის განახლებულ გამზირზე ბარები და კაფეები დახურა. „რუსთავი-2-ის“ ინფორმაციით, მეპატრონეებმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც მერიამ მათ საფეხმავლო ქუჩაზე ღია ტერასების დემონტაჟი მოსთხოვა და 1000-ლარიანი ჯარიმით დაემუქრა.

მათივე თქმით, მერიის გადაწყვეტილება მათთვის გაუგებარია, რადგან საფეხმავლო ქუჩაზე ღია კაფეების სტუმრები უცხოელი ტურისტები არიან, დღეს კი „ახალ ტიფლისში“ მისულ ტურისტებს თითქმის ყველა ობიექტი დახურული ხვდებათ.

აღმაშენებლის გამზირზე პროტესტის ნიშნად, სულ 16 ბარი დაიხურა, აქედან 14 ბარის მეპატრონე უცხოელი ინვესტორი იყო.

კანონიერად და პატიოსნად იმუშავეთ, ვაჭრებო!

დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ღია კაფეებთან დაკავშირებით თბილისის მერია განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 9 აგვისტოს გაცემული მითითებების შესაბამისად, დავით აღმაშენებლის გამზირზე უნებართვოდ მოწყობილი ღია კაფეების ნაწილი აღებულია და კაფე-ბარები მუშაობას აღნიშნული საქმიანობისთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე (შენობა-ნაგებობებში) განაგრძობენ.

თბილისის მერიამ კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთის შესახებ მითითება სულ 16 სამართალდამრღვევ სუბიექტს მისცა, საიდანაც 12-მა, გაფრთხილების შესაბამისად, უნებართვოდ მოწყობილი ღია კაფე სრულად გააუქმა, 2-მა ნაწილობრივ, ხოლო 2-ს ამ დრომდე ქმედება არ განუხორციელებია.

კაფე-ბარების მეპატრონეებს ვადა 14 აგვისტომდე მიეცათ, რის შემდეგაც კანონით გათვალისწინებული ზომები გატარდება.

აღსანიშნავია, რომ 16 სამართალდამრღვევი სუბიექტიდან 7 კაფე-ბარის დამფუძნებელი და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი ქართველია, ხოლო 9 — უცხო ქვეყნის მოქალაქე. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პირები თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებში ღია კაფეების მოწყობისთვის სავალდებულო პროცედურებს გაივლიან, ისინი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, საქმიანობის გაგრძელებას შეძლებენ.



დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სხვა კაფე-ბარების მიმართაც უახლოეს დღეებში მსგავსი ღონისძიებები განხორციელდება“, — ნათქვამია განცხადებაში.

მხოლოდ ერთი ქუჩისა და შესახვევის კეთილმოწყობისთვის 2 მლნ 119 ათასი ლარი დაიხარჯება

ბათუმში, ანდრონიკაშვილის ქუჩისა და შესახვევის კეთილმოწყობა გრძელდება. ბათუმის მერიის ინფორმაციით, ქუჩის ერთ მონაკვეთზე უკვე გამოცვლილია წყლისა და წყალარინების სისტემები, დაგებულია ასფალტის საფარის პირველი ფენა და მიმდინარეობს დეკორატიული ფილების მოწყობა ტროტუარებზე. ქუჩის მეორე მონაკვეთზე კი გრუნტის შეცვლის სამუშაოები ხორციელდება. რაც შეეხება ანდრონიკაშვილის შესახვევს, აქ ღია, ცხაურიანი არხი მოეწყო და დაიგო ასფალტის საფარი.

ტროტუარებზე დამონტაჟდება უსინათლოთა ბილიკები და პანდუსები. პროექტის ღირებულება 2 მილიონ 118 ათას 500 ლარს შეადგენს. სამუშაოები მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო და 2018 წლის ივნისისთვის დასრულდება.

ამერიკა მუშაობს პინცეტით, რუსეთი – ნაჯახით!

უნდა გამოქვეყნდეს ყველა ის დოკუმენტი, რომელსაც სააკაშვილმა მოაწერა ხელი

„მე-6 პუნქტად ჩაწერილი იყო ასეთი რამ – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა მოხდება მხოლოდ დასავლეთის საზოგადოების ჩართულობით. საქართველოსთვის უაღრესად ხელსაყრელი აი ეს პუნქტი, სააკაშვილმა ამოიღო და რუსეთმა მალე გამოაცხადა ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა“, – აცხადებს პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი თამარ კიკნაძე.

თამარ კიკნაძე დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.

– „რუსეთის ქმედებებს ჩვენ ვუპირისპირებთ ჩემს ვიზიტს“, – აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის განცხადება ადასტურებს, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაციითვის საქართველოს საკითხი არის მნიშვნელოვანი?

– პენსის ვიზიტმა და მკაფიო განცხადებებმა დაადასტურა, რომ საქართველო ამერიკისთვის არის ღირებული, და არა მარტო საქართველო. მოგეხსენებათ, რომ ვიცე-პრეზიდენტი იყო პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ამ ვიზიტით ხაზი გაესვა იმას, რომ ამერიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტრატეგიულ პარტნიორებს. საქართველოში ვიზიტით მყოფმა მაიკ პენსმა განაცხადა, რომ ამერიკა არის ქართველ ხალხთან. მაგრამ აქ არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – როდესაც ჰკითხეს, რუსეთის მხრიდან კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში რა ღონისძიებას გაატარებს ამერიკაო, მან თავი აარიდა პირდაპირ პასუხს.

– დიპლომატიური ეთიკიდან გამომდინარე შეიკავა თავი პირდაპირი პასუხისგან?

– რა თქმა უნდა. ის დიპლომატია, პოლიტიკოსია და პოლიტიკოსები ასეთ მკვეთრ განცხადებებს არ აკეთებენ. საქართველოსთვის მაიკ პენსი არის მისაღები პოლიტიკოსი, თავისი ტრადიციული ღირებულებებით და იმ განვლილი გზით, რომელიც მან ვიცე-პრეზიდენტობამდე გაიარა. საქართველოში ყველა აღნიშნავს მის ტრადიციულ კონსერვატიულ პოლიტიკას, რომელსაც ტრამპის ადმინისტრაცია ახორციელებს. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იქ არის ძალიან ძლიერი ოპოზიცია კონგრესის სახით.

– პენსის განცხადება, რომ ამერიკა დაეხმარება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების გაძლიერებაში, შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს?

– პენსმა გულდინჯად თქვა, რომ იქნება ასეთი მხარდაჭერა. ჩემი ვარაუდია, რომ შეიძლება იყოს ლაპარაკი რაღაც სამხედრო დახმარებაზეც, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს. თუ ისევე, როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, საქართველო დასავლეთისა და რუსეთის შეჯახების არენად გადაიქცევა, ეს არ წაადგება საქართველოს. 2008 წლის ომის შედეგებს ყველა ვხედავთ.

ეს ომი წარმოჩენილი იქნა როგორც რუსეთ-საქართველოს ომი, სინამდვილეში ასე ხომ არ იყო. სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საომარი მოქმედებების ეპიცენტრად ექცია საქართველო. გარდა ამისა, მივიღეთ ოკუპაცია და დღემდე გრძელდება მცოცავი ოკუპაცია. უნდა გამოქვეყნდეს ყველა ის დოკუმენტი, რომელსაც სააკაშვილმა მოაწერა ხელი.

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ მე-6 პუნქტს, რომელიც ამოღებული იქნა დოკუმენტიდან, რომელსაც სააკაშვილმა მოაწერა ხელი. მე-6 პუნქტად ჩაწერილი იყო ასეთი რამ – -აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა მოხდება მხოლოდ დასავლეთის საზოგადოების ჩართულობით. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ საქართველოსთვის უაღრესად ხელსაყრელი აი ეს პუნქტი, სააკაშვილმა ამოღო და რუსეთმა მაშინვე გამოაცხადა ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ვიღაცამ პასუხი ხომ უნდა აგოს ამაზე?! ხედავთ, სააკაშვილს რა პრობლემები აქვს? მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მას მოუწევს პასუხის გაცემა იმ საშინელ ქმედებებზე, რომელიც საქართველოში განახორციელა.

– ანუ, მცოცავი ოკუპაციის გაგრძელება, რაზეც „ნაციონალური მოძრაობა“ პასუხისმგებლობას მოქმედ ხელისუფლებას აკისრებს, არის იმ მემკვიდრეობის გაგრძელება, რაც ამ დოკუმენტის სახით შექმნა სააკაშვილმა?

– რა თქმა უნდა. ამ ხელისუფლებას ბრალს სდებენ პრორუსულობაში, რომელიც სრული აბსურდია. მართალი გითხრათ ვერ ვამჩნევ. ამას წინათ პირდაპირ ეთერში ვიყავი, დარეკა მოქალაქემ და თქვა, რომ მაშინაც ხომ იყო ოკუპირებული ეს ტერიტორიებიო. კი ბატონო, ოკუპირებული იყო, მაგრამ რუსეთი აკეთებდა განცხადებას, რომ ის ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სააკაშვილის ამ ქმედების წყალობით, მივიღეთ ვითარება, როდესაც რუსეთმა დამოუკიდებლად აღიარა საქართველოს ორი რეგიონი. იცით, აშშ-ში ველაპარაკე ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მრჩეველს ტომ გრემს. მან მითხრა, რომ სააკაშვილი წამოეგო პროვოკაციას და ეს ყველაფერი საქართველოსთვის დამთავრდა კატასტროფით, ორი ტერიტორიის აღიარებითო.

** **

– მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ნატოს წევრი სახელმწიფო, აშშ-ის სერიოზულ ინტერესებს ავლენს, ეს რას გვაძლევს წევრობისკენ მიმავალ გზაზე, როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში?

– ჩვენ დამოკიდებული ვართ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაზე, როგორ პოზიციას დაიჭერს რუსეთი. თუ დასავლეთი თავს იკავებს საომარი მოქმედებებისგან და რბილი პოლიტიკის საშუალებით ახორციელებს გარკვეულ მიზნებს და როგორც ჩემი კოლეგა ამბობდა, ამერიკა მუშაობს პინცეტით, რუსეთი – ნაჯახით. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება რუსეთის რეაქცია, თუ არ მოხდა მოლაპარაკება ამერიკა-რუსეთს შორის. თუ ამერიკული დახმარება გადაიქცა იმად, რომ ჩვენ რუსეთთან კონფრონტაცია მოგვიწია, ეს ძალიან ცუდია!

რა თქმა უნდა, მოსაწონია ამერიკის დამოკიდებულება, რომელიც საქართველოს მიმართ აქვს, მაგრამ მთავარი პოლიტიკა შედეგით განისაზღვრება – სად მიგვიყვანს ეს ყველაფერი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კონგრესის უმრავლესობაში მილიონერები სხედან და იმას, რომ ომი ყოველთვის არის ძალიან დიდი შემოსავლის წყარო. თუკი საომარი მოქმედებები დაიწყო, რა თქმა უნდა, საქართველო წაგებული დარჩება. ტრამპი ვერ ახორციელებს იმ პოლიტიკას, რომელიც გაცხადებული ჰქონდა. რუსეთზე დაწესებულ სანქციებზე ხელმოწერის შემდეგ, ტვიტერზე გამოაქვეყნა, რომ რუსეთთან ესკალაცია კონგრესის დამსახურება არისო.

– აშშ-მა შესაძლოა, რუსეთის წინააღმდეგ უკრაინას ირაღი გადასცეს, შესაძლებელია საქართველოს საკითხიც დადგეს კონგრესის მიერ დღის წესრიგში. იმ შემთხვევაში, თუკი კონგრესმა დაიწყო საქართველოსთვის იარაღის მიწოდების საკითხის განხილვა, ეს ზრდის საქართველოში კონფლიქტის საფრთხეს? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის საჯარისო დანაყოფებმა სანგრების თხრები დაიწყეს. ჩვენ არ ვართ ნატოს წევრი სახელმწიფო, რაც ნიშნავს, რომ ნატოს წევრ სახელმწიფოებს არა აქვთ ვალდებულება, ჩაერთონ საომარ მოქმედებაში, რაც მშვენივრად იცის რუსეთმა...

– რა თქმა უნდა, არის უდიდესი საფრთხე და შემთხვევითი არ არის, რომ სანგრები ითხრება. შემთხვევითი არ არის პუტინის ვიზიტი სოხუმში. სიტუაცია მიდის დაძაბვისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ტრამპი არ არის მიმართული იმისკენ, რომ ესკალაცია დაიწყოს რუსეთთან, არის კონგრესი, რომელიც ანტირუსულად არის განწყობილი და ამას იყენებს, როგორც შიდა პოლიტიკის, ასევე ტრამპის წინააღმდეგ.

დღეს უპრეცედენტო სიტუაციაა ამერიკაში, როდესაც დიდი შიდა დაპირისპირებაა პოლიტიკურ ელიტაში. თუ ჩვენ მოვხვდით ამ დაპირისპირების ეპიცენტრში, ეს იქნება ძალიან დიდი საფრთხე საქართველოსთვის. საერთოდ, პოლიტიკის და პოლიტიკოსების დანიშნულებაა, რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გამოიყვანოს თავისი ქვეყანა ამ დაპირისპირებიდან. ძალიან კარგი მაგალითია რუზველტის მაგალითი, რომელმაც ბოლო მომენტში ჩართო ამერიკელი ხალხი მეორე მსოფლიო ომში, რატომ? - იმიტომ, რომ იგი უფრთხილდებოდა თავის მოსახლეობას და რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი უნდოდა რომ ყოფილიყო.

– მზარდი ამერიკული მხარდაჭერის ფონზე, როგორ შეიძლება ავიცილოთ რუსული აგრესია?

– მე მაგალითად მომეწონა პრეზიდენტის ინიციატივა. მეორე საკითხია, რომ ეს არ იყო შეთანხმებული საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და პრემიერის აპარატთან, მაგრამ წარმომადგენლის დანიშვნა საშუალებას მოგვცემს, ინფორმაცია მაინც მივიღოთ რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკებების შესახებ. ერთია – რაც ღიად ხდება, მეორე – რაც ლატენტურად. ინფორმაცია უნდა გვქონდეს. ძალიან რთული სიტუაციაა მსოფლიოში. არ მინდა, საქართველო მოხვდეს ამ დაპირისპირების ეპიცენტრში.

– ვიცე-პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა ქართული პოლიტიკის წარმატებულ ხუთწლიან პერიოდს, რათა საქართველო გახდეს ნატოს წევრი და თქვა, რომ აშშ მაღალ შეფასებას აძლევს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს. რა დატვირთვა აქვს ამას ქართული პოლიტიკისთვის და იმ პოლიტიკური გუნდისთვის, რომელსაც ღიად ადანაშაულებენ პრორუსულობაში?

– როგორც ამერიკაში ტრამპს უქმნიან პრობლემას, ისევე ხდება საქართველოში. ისეთი პროვოკაციული ნაბიჯები, როგორც სააკაშვილის მმართველობის დროს ხდებოდა, ამ ხელისუფლებას არ გადაუდგია. სააკაშვილის დაუფიქრებელი ქმედებები პრობლემებს უქმნიდა არა მარტო აშშ-ს, არამედ ევროპულ ქვეყენებსაც. ეს ხელისუფლება გაცილებით უფრო მოზომილად იქცევა და ჩვენ მოწმენი ვართ, რომ 5 წლის განმავლობაში ასეთი ღია ესკალაცია არ ყოფილა რუსეთთან. ეს ერთმნიშვნელოვნად კარგია.

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამხრეთ კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური კონტურები იკვეთება, ჩვენი ქვეყანა გლობალური პოლიტიკის ცენტრში ექცევა. ამ პროცესში შესაძლებელია, რომ დიდი მოთამაშე სახელმწიფოები საქართველოს თავისი გლობალური ინტერესების საკვანძო ქვეყნად განიხილავენ?

– რა თქმა უნდა, საქართველო ამ რეგიონში არის დასავლეთის დასაყრდენი, მისი პოლიტიკური კურსის მხარდამჭერი და გამტარებელი. აქ თურქეთის ფაქტორიც არის, რომელიც ვთვლი, რომ ამერიკის პოლიტიკისათვის არის წარუმატებელი მიმართულება. ერდოღანის ავტორიტარული რეჟიმი ერთმნიშვნელოვნად არ არის ამერიკის პოლიტიკის მხარდამჭერი.

არის სომხეთი, რომელიც მკვეთრად ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრია და რუსეთის სატელიტია. თუმცა, სომხები ძალიან კარგად არეგულირებენ დასავლეთთან და რუსეთთან ურთიერთობებს. ასევე არის აზერბაიჯანი, რომელიც დამოუკიდებელი მოთამაშეა და თამაშობს ამ ორი ქვეყნის წინააღმდეგობაზე. ამიტომ, ამ შემთხვევაში საქართველო არის საკვანძო ფიგურა, რომელიც დასავლეთისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ საქართველოში ჩამოვიდა მაიკ პენსი.

ამ შემთხვევაში თვითონ კავკასიაში არის ძალიან რთული სიტუაციაა. ამ პატარა რეგიონში იმდენი დაპირისპირებაა, რომ აბსოლუტურად სხვადასხვა ვექტორებია. ერთი მხრივ რუსეთ-თურქეთი პარტნიორი ქვეყნები არიან ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში, ამ დროს თურქეთი და სომხეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთთან არიან დაპირისპირებული, სამაგიეროდ აზერბაიჯანი კარგად არის თურქეთთან. ძალიან ბევრი წინააღმდეგობაა და ამ ვითარებაში საქართველოს შეუძლია კონსტრუქციული როლის შესრულება. აუცილებელია გამოკვეთილი ლიდერი, ჭკვიანური პოლიტიკა და სამშვიდობო ინიციატივები.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა



სავარაუდოდ, ამერიკა საქართველოში ორ სახმელეთო და ერთ საზღვაო ბაზას დააარსებს

აზერბაიჯანული გამოცემა „НОВОЕ ВРЕМЯ“ საქართველოში შეერთებული შტატების სამხედრო ინტერესების შესახებ ვრცელ მასალას აძვეყნებს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს სტატიიდან:

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტიდან ნატო აღმოსავლეთით გაფართოებას შეუჩერებლად, პერმანენტულად აგრძელებს. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ყოფნას აძლიერებს, თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებას საქართველოს მეშვეობით ცდილობს. ბოლო დროს თბილისს აშშ-ის უმაღლესი სამხედრო სარდლობის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ - ამ დღეებში საქართველოს აშშ-ის სახმელეთო ჯარების სარდალი, გენერალი მარკ მაილი ეწვია...

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იტყობინება, თბილისსა და ვაშინგტონს შორის მიღწეულია პრინციპული შეთანხმება სამხედრო მომზადების ცენტრის დაარსების საკითხში, რომელსაც ამერიკელი კონგრესმენები კურირებენ (ამ ინიციატივას პენტაგონშიც ჰყავს ლობისტები — გენერლები ფედერიკ ჰოჯესი და ანტონიო აუგუსტო). თუ საბოლოო ჯამში კონგრესი ამ წინადადებას მოიწონებს, არაა გამორიცხული, რომ 2018 წლისათვის საქართველოში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების 25-ათასიანი კონტინგენტი გამოჩნდეს. ამით საქართველო კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს დასავლეთის მიმართულებით, კიდევ ერთი ძაფით მიებმება ოკეანისიქით მდებარე ქვეყნის სამხედრო სტრუქტურებს.

რაც შეეხება სამხედრო ბაზებს: როგორც ჩანს, ამერიკა საქართველოს ტერიტორიაზე ორ სახმელეთო და ერთ საზღვაო ბაზას დააარსებს, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენიც რუსეთს აქვს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მართალია, ამერიკული ბაზების დანიშნულება ჯერ უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, სახმელეთო ბაზებიდან ერთ-ერთი სამხედრო საჰაერო ბაზა იქნება. როგორც ცნობილია, აშშ იყენებს თურქეთში მდებარე ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზას, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ვაშინგტონი ინჯირლიყს სრულად ვერ აკონტროლებს, რადგან, მისი მართვა თურქეთთან ერთად ხდება. ანკარის პოლიტიკის გათვალისწინებით (იყო შემთხვევები, როცა თურქეთმა ამერიკას ბაზით სარგებლობა შეუზღუდა), ვაშინგტონისთვის ინჯირლიყის ბაზის შეცვლა საქართველოში მდებარე ბაზით სასარგებლო იქნებოდა, თუმცა ამერიკას, პოლიტიკური მოსაზრებით, თურქეთიდან წასვლაც არ უნდა, რადგან ერაყთან და ირანთან ახლოს ყოფნა სურს. რა თქმა უნდა, ბაზის საქართველოში გადატანით, 500-700 კილომეტრი თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავისათვის მაინცდამაინც დიდი მანძილი არ არის, მაგრამ სამხედრო-სტრატეგიულმა ფაქტორმა ჯერჯერობით პოლიტიკური ვერ გადასძალა.

ცხადია, ამერიკელებისათვის ძალიან მაცდურია საქართველოში სამხედრო-საჰაერო ბაზის დაარსება, აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ენერგორესურსების გათვალისწინებით. პრეზიდენტ დონალდ ტრამპის განცხადებების მიუხედავად, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცესთან დისტანცირებასაც გულისხმობს, მოვა დრო და შეიძლება, ეს გეგმაც განხორციელდეს: აშშ-ის უმაღლეს ხელისუფლებაში საკმაოდ ბევრია კონსერვატიული პოლიტიკოსები, რომლებიც იდეას მხარს უჭერენ.

საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის სამხედრო ბაზის დაარსების საკითხზე კომენტარი გააკეთა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჰიქმეთ გაჯიევმა: მისი თქმით, ყოველი ქვეყანა თვითონ ირჩევს საგარეო და თავდაცვით პოლიტიკას, აზერბაიჯანი კი სხვა ქვეყნების საქმეებში არ ერევა. **„რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს ქვეყანას, აზერბაიჯანი მიუმხრობლობის მოძრაობის ორგანიზაციის წევრია და ბლოკებსგარეშე სტატუსს ინარჩუნებს. ბაქო ზუსტად ასრულებს თავის ვალდებულებას ამ ორგანიზაციის წინაშე. სწორედ ამიტომ მიუმხრობლობის მოძრაობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტი აზერბაიჯანში ჩატარდება, პირველად ევროპაში 1989 წლის შემდეგ“,** — აღნიშნა ჰიქმეთ გაჯიევმა.

არადა, რამდენიც არ უნდა აცხადოს აზერბაიჯანმა თავისი ნეიტრალობის თაობაზე, მეზობელ ქვეყანაში თუ აშშ-ის ბაზა დაარსდება, ბაქო იძულებული გახდება თავის პოლიტიკაში კორექტივები შეიტანოს. ვნახოთ, რა რეაგირებას მოახდენს აზერბაიჯანი რეგიონში შექმნილ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაზე.

„novoye-vremya“(აზერბაიჯანი)

საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკა სირაძე-დელონე გაძარცვეს

საფრანგეთში საქართველოს ელჩი ეკა სირაძე-დელონე გაძარცვეს. ინციდენტი პარასკევს „სტად დე ფრანსის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს ელჩის მანქანა საავტომობილო ნაკადიდან გამოდიოდა, როდესაც მას სკუტერით მოძრავი ორი პირი მიუახლოვდა. მათ მანქანის ფანჯარა ჩაამტვრიეს და დიპლომატიური ჩანთა გაიტაცეს.

შემთხვევის შედეგად საქართველოს ელჩი არ დაშავებულა. მან აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება დაწერა პარიზის მე-17 რაიონის კომისარიატში.

ფრანგული გამოცემა Le Parisien-ის ინფორმაციით, მოგვიანებით დიპლომატიური ჩანთა ერთ-ერთ რაიონში იპოვეს.

მარნეულის გამგებელი გადაიღალა და... თანამდებობას ტოვებს

მარნეულის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი თანამდებობას ტოვებს. თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადებით თოფჩიშვილმა მარნეულის საკრებულოს 11 აგვისტოს მიმართა.

მერაბ თოფჩიშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საკრებულომ უნდა იმსჯელოს. როგორც თოფჩიშვილმა საზოგადოებრივ მაუწყებელს განუცხადა, ბოლო თვეების განმავლობაში გადაიღალა და დასვენება გადაწყვიტა.

საქართველოს ლატარიის კომპანია გისურვებთ წარმატებებს!

ეროვნულ ლატარიაში ჩართული მონაწილეების ინტერესების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს ლატარიის კომპანიის გათამაშებებში მონაწილეობის მიღება 2017 წლის 1-ლი სექტემბრის ჩათვლით იძნება შესაძლებელი.

„ლოტო 6/36“-ის ბოლო, რიგით 796-ე გათამაშება 1-ლ სექტემბერს ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე, 20 საათსა და 35 წუთზე გაიმართება. აღნიშნული გათამაშებისას მომხმარებლებს მიეცემათ შანსი, სხვადასხვა საპრიზო კატეგორიაში სოლიდური თანხების მფლობელები გახდნენ. კერძოდ, ზემოაღნიშნულ გათამაშებაში ლოტოს საპრიზო, მათ შორის, სარეზერვო ფონდში არსებული თანხები გამარჯვებულ საპრიზო კატეგორიებზე გადანაწილდება და სრულად გათამაშდება. საქართველოს ლატარიის კომპანია, ***ლოტოს ბოლო გათამაშების ორგანიზებისა და მოგების განაღდების პროცედურების დასრულების შემდგომ, შეწყვეტს საქმიანობას.***

მონაწილეებს 796-ე გათამაშებისთვის ბილეთების შეძენა 29 აგვისტოს, ლოტოს გათამაშების დასრულების შემდეგ, ონლაინ - ebetting.ge-ს საშუალებით შეეძლებათ, ხოლო 30 აგვისტოდან - ყველა გაყიდვის ობიექტზე, სადაც ლატარიის კომპანიის მანიშნებელია განთავსებული.

„ლოტო 6/36“-ისა და ყველა მიმდინარე მომენტალური გათამაშების ბილეთების გაყიდვა 1-ლი სექტემბრის საღამოს, 20 საათსა და 30 წუთზე შეწყდება.

მნიშვნელოვანი შენიშვნა:

- „ლოტო 6/36“ ბოლო გათამაშებაში მოგებული თანხის განაღდება შესაძლებელი იქნება 1 ნოემბრამდე;
- „ლოტო 6/36“-ში მოგებული თანხის განაღდება შესაძლებელია სს ლიბერთი ბანკში და საქართველოს ლატარიის კომპანიის ბეთინგ ცენტრში (მისამართი: მელიქიშვილის ქ.16, თბილისი);
- მომგებიან ბილეთებში (გადასაფხეკი ბილეთები) მოგების განაღდება შესაძლებელი იქნება 2017 წლის 1 ნოემბრამდე; გასათვალისწინებელია, რომ 100 ლარის ჩათვლით მოგებახვედრილი თანხის განაღდება შესაძლებელი იქნება ლატარიის კომპანიის ჯიხურებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, სს ლიბერთი ბანკში და კომპანიის ბეთინგ ცენტრში, ხოლო 100 ლარზე მეტი თანხის - სს ლიბერთი ბანკში და საქართველოს ლატარიის კომპანიის ბეთინგ ცენტრში (მისამართი: მელიქიშვილის ქ. 16, თბილისი).

საქართველოს ლატარიის კომპანია ეროვნულ ლატარიაში ჩართულ თითოეულ მონაწილეს მადლობას უხდის ნდობისა და ერთგულებისთვის! გისურვებთ წარმატებებს!

დამატებითი შეკითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე - 032 2 649 649, ელ. ფოსტაზე - info@georgianlottery.com ან მოგვწერეთ ჩვენს Facebook გვერდზე - https://www.facebook.com/GeorgianLottery/

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება №922

„14“ აგვისტო 2017 წ. ქ. თელავი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის №866 ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო აუქციონის გამოცხადების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 01 აგვისტოს №866 ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის მე-7 მუხლი და ამავე ბრძანების დანართი №2-ით დამტკიცებული, თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაციის მე-7 მუხლი (თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ყარაჯალაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კოდი №53.10.35.100, 19 378 კვ.მ, საწყისი ფასი 8 400 ლარი, „ბე“ 2520 ლარი, ბიჯი 840 ლარი, მონაწილის ბილეთის ფასი 30 ლარი).
2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

◎ კალათბურთი

ახლოა თელ-ავივამდე!

ევრობასკეტამდე ორი კვირით ადრე საქართველოს ეროვნული ნაკრები ზედიზედ მეორე პრიზის მფლობელი გახდა – ლიტვაში მოპოვებულ ოთხთა საერთაშორისო ტურნირის მთავარ ჯილდოს ილიას ზუროსის გუნდმა თბილისის მერიის თასი დაუმატა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი სტუმრის – ჩეხეთის ორგზის ძლევით მოიპოვა (უფრო სწორად – დაიბრუნა, რადგან შარშან უძლიერესი შემადგენლობით ჩამოსულ, შთამბეჭდავად მოთამაშე იტალიელებს დაუთმო).

ვიდრე სპორტის სასახლეში

გამართულ შეხვედრებზე გადავალთ, აუცილებლად მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა საკმაოდ გაბუნდოვანებულ საგაისო პერსპექტივაზე ვთქვათ. დიახ, თუ ორგანიზატორებმა მომავალ წელს მაინც არ იზრუნეს უცხოელ, თუნდაც ახლო სამეზობლოს წარმომადგენელ მსაჯთა მოწვევაზე, ადვილი შესაძლებელია საერთოდ აღარავინ გვეწვიოს და დედაქალაქის მომავალ თავკაცს ავტომატურად მოუწიოს მასპინძელთათვის უშრომელი შემოსავლის უბრძოლველად გადაცემა.

მიზეზი ბანალურია – ქართულმა ტრიომ იმდენი მოახერხა, რომ მეორე მატჩის მიწურულს მეტოქის მწვრთნელები მდგომარეობიდან საბოლოოდ გამოვიდნენ და მაჩალაძე-ბერიშვილ-ვართანოვის „ტროიკას“ დარბაზიდან გააძევებინეს თავი.

საქართველო – ჩეხეთი 87:76,
საქართველო – ჩეხეთი 68:64.

როცა მომავალ ფორუმზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ისედაც შეზღუდული კონტინგენტის პირობებში სანიკიძისა და ბურჯანაძის გამოკლებით გამოწვეულ საკადრო პრობლემებს უნდა გავუსვათ ხაზი, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ანალოგიურ ვითარებაში, მეტნაკლებად, ჩვენი ჯგუფის დანარჩენი ბინადრებიც არიან. მაგალითად, გერმანიას თუ ლეგენდარული ნოვიცკი დაემშვიდობა, რომელმაც სანაკრებო კარიერა დაასრულა, „სკუადრა აძურას“ სულაც ჯენტილე-გალინარი-ბიარნიანის დამრტყმელ სამეულზე მოუხდა უარის თქმა, რომელთა ტრავმებმაც ეტორე მესინას დიდი თავსატეხი გაუჩინა.

და მაინც, ჩვენ ჩვენი გვტკივა და ამიტომაც ვერ დაგვამშვიდებს ყოველივე ზემოთ აღნიშნული.

სხვათა შორის, დამდეგი ევროპირველობის მონაწილე ჩეხეთიც სასტარტო ხუთეულის წევრების – ვესელის, ბენდასა და პრუმპლას გარეშე ცდილობდა საწადელის მიღწევას, მაგრამ...

უპირველესად, შევთანხმდეთ, რომ „ჯვაროსნები“ ისრაელში გამგზავრებამდე დაგეგმილ შეკრებასა და ბერძნულ ტურნირზე, სადაც აგრეთვე სერბეთი და იტალია ჩავა, კიდევ უფრო აკრეფენ ოპტიმალურ კონდიციებს, ოღონდ, მთავარია, ვინც დაგვრჩა, ისინი საღსალამათნი შევინარჩუნოთ თელ-ავივამდე.

დამაფიქრებლად გვეჩვენება სათადარიგოთა სკამის ფორმალობა, საიდანაც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მხოლოდ ორიოდე სრულფასოვანი რეზერვისტის ჩაბმა თუ შეგვეძლება ბრძოლაში, შესანიშნავი შვიდეულის ფონზე კი დანარჩენები ტურისტის როლს თუ ითამაშებენ. დაგვეთანხმებით, ასეთი ვითარება ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენისთანა ღირსეულ სოლისტებზე (ფაჩულია, შენგელია, მარკოიშვილი, შერმადინი, დიქსონი) აბა, უარს ვინ იტყვის?

იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ცინცაძემ და სანაძემაც გაისროლონ. ვინ იცის...

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

ეროვნული ლიგა. XXII ტური. „სამტრედია“ – „დინამო“ 1:1, „ლოკომოტივი“ – „ტორპედო“ 2:0, „ჩიხურა“ – „ბათუმი“ 2:1, „დილა“ – „საბურთალო“ 0:2, „შუქურა“ – „კოლხეთი“ 3:2.

სამწუხაროდ, არ გათეთრდების ყორანი – სამტრედიაში ტრიბუნიდან ბოთლი ისროლეს, ხოლო ვაკეში მხოლოდ პეტარდები არ იკმარეს და სკამების მტვრევასთან ერთად სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ხელჩართულ ბრძოლაში გაუსწორდა. რომელი საუკუნეა?

ლიდერთა ჯგუფი: „დინამო“ – 50, „ტორპედო“ – 44, „სამტრედია“ – 43 ქულა.

ბომბარდირი: სიხარულიძე („ლოკომოტივი“) – 15 გოლი.

* * *

ესპანეთი. სუპერთასი. პირველი მატჩი. „ბარსელონა“ – „რეალი“ 1:3.

იტალია. სუპერთასი. „ლაციო“ – „იუვენტუსი“ 3:2 (დამატებით დროში).

ინგლისი. I ტური. „არსენალი“ – „ლესტერი“ 4:3, „ჩელსი“ – „ბარნლი“ 2:3, „მანჩესტერი“ – „ვესტ ჰემი“ 4:0, „ბრაიტონი“ – „სიტი“ 0:2.

საფრანგეთი. II ტური. „გენგამი“ – „პსჟ“ 0:3, „დიჟონი“ – „მონაკო“ 1:4, „რენი“ – „ლიონი“ 1:2.

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

მსოფლიოდან – ყველა სინჯის მედლით

სანტიაგოში (ჩილე) დამთავრდა ჭაბუკ ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებმა პირადში სამივე სინჯის მედალი მოიპოვეს – ერთი „ოქრო“, ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“, ხოლო გუნდურში მესამე ადგილი დაიკავეს. უკვე ვწერდით, რომ ასპარეზობის პირველ დღეს 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლუკა კაპანაძემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მერე 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ლაშა ბექაური ავიდა, ასპარეზობის ბოლოსწინა დღეს მეორე ადგილი სოფიო სომხიშვილს (+70) ხვდა, მარიამ ჭანტურია კი (63 კგ) მესამე ადგილს დასჯერდა.

ლაშა ბექაური ევროპის წლევანდელი პირველობის გამარჯვებულია. მსოფლიოზე იგი 33 მონაწილეს შორის პირველ ნომრად იყო განთესილი და მეორე წრეში უნგრელ დიორდ ნერპელს „ოქროს დროში“ ვაზარით მოუგო, მერე წუთსა და 16 წამში ბრაზილიელი მარსელო გომესი დაამარცხა, რუსეთის ნაკრების წევრ არმენ აგაიანს ვაზარით აჯობა, ნახევარფინალში პოლონელი ადამ სტოდოლსკი 33-ე წამზე ბეჭებით დაანარცხა ტატამს, გადამწყვეტ პაექრობაშიც იაპონელ დაიკი ნაკაჰაშისაც იპონით სძლია.

მარიამ ჭანტურია ევროპის ახალგაზრდობის 2017 წლის ოლიმპიური ფესტივალის ჩემპიონია. სანტიაგოს ტატამზე მან ჩილელი ხავიერა მუნიოსი და ამერიკელი ერიკა პაჩიონე ვადამდე ჩამოიშორა გზიდან. მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონთან – იაპონელ აიანო იუკისთან დამარცხდა – დამატებით დროში მე-7 წუთზე გაფრთხილება მიიღო. სამაგიეროდ, დამამშვიდებელში „ბრინჯაოსკენ“ მიმავალ გზაზე კოლუმბიელი სინდი მერა და ჩრდილოკორეელი სუ იონ კიმი დაჯაბნა.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა სომხიშვილმა სანტიაგოში პოლონელი კინგა ვოლჟაკი მეორე წუთზე მოგვერდით დაჯაბნა, მერე ბრაზილიელ ლუიზა კრუზს სძლია, ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ აბიდი ფატმას (ტუნისი) 59 წამში სამი გაფრთხილება მიაღებინა. ფინალური პაექრობა კი ხორვატ ელენა ვუკოვიჩთან, რომელსაც ევროპის პირველობის ნახევარფინალში დამაჯერებლად აჯობა, დამატებით დროში ვაზარით დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

გუნდურ შეჯიბრებაში (თითო ნაკრებში 4-4 გოგონა და ვაჟი) 18 ქვეყნის წარმომადგენლები ჩაებნენ. საქართველოს (მწვრთნელები – გიორგი ყიზილაშვილი და გია თენაძე) 44 კილოში მოჭიდავე გოგონა არ ჰყავდა, ამიტომ მეტოქეებთან ორთაბრძოლას -1-ით იწყებდა. ამის მიუხედავად, ჩვენებმა პირველ წრეში იტალიას 6:2 მოუგეს და მეოთხედფინალში ასპარეზობის ფავორიტ იაპონიას დაუპირისპირდნენ. უბრძოლველად დაკარგული ქულის შემდეგ კაპანაძემ და ტატუნაშვილმაც წააგეს. იაპონია 3:0 დაწინაურდა. ამ გადამწყვეტ მომენტში ევროპის ჩემპიონი ბახბახაშვილი მსოფლიოს ჩემპიონ რანტო კაცურას იპონით გაუსწორდა, ჭანტურიამ ჰარუკა ნაკაიას დასამარცხებლად 13 წამი იკმარა, ახალკაცმა ტორანოსუკე ბანდოს ორწუთნახევარში სამი გაფრთხილება მიაღებინა და საერთო ანგარიში გაათანაბრა – 3:3. ბოლო ორ შეხვედრაში სომხიშვილმა აკიჰო იონეკავასთან წააგო, ხოლო ჭელიძემ იუ ოიშის მესამე დამატებულ წუთზე ვაზარით სძლია და დამატებითი მაჩვენებლების გათვალისწინებით (32:25) ნახევარფინალში ქართველები გავიდნენ, სადაც რუსებს შეხვდნენ და 2:6 წააგეს. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში საქართველოს ნაკრებმა იტალია ჩამოიშორა გზიდან (4:3). ასევე, მესამეზე გავიდნენ იაპონელები. ჩემპიონობა რუსებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში ბრაზილიელები დაამარცხეს - 5:3

ლექსო ცინცაძე

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი
კრედიტის №5078- GE; სესხის №8143-GE
პროექტის **N P122204**

დავალების სახელწოდება: იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა (I ლოტი და II ლოტი)
კონტრაქტი/ RFP # SLRPII/CS/CQS-07

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **"იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებების ზედამხედველობა (I ლოტი და II ლოტი)".**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 5 თვე (3.5 თვე I ლოტისთვის და 5 თვე II ლოტისთვის) + 12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გააამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:

http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1490604057

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდით** მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში.

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეს შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

მოკლე სიაში მოხვედრის კრიტერიუმია:

- ზოგადი გამოცდილება საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- მსგავსი გამოცდილება გზების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დაწყებული 2012 წლის 1 იანვრიდან);

შეფასებისას მოხდება მხოლოდ წარმატებით დასრულებული დავალებების გათვალისწინება.

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილისაბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2017 წლის 29 აგვისტოს, 17:00 საათისა.**

სახელი: გიორგი სეთურიძე
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRPII)
Credit No. 5078-GE; Loan No. 8143-GE
Project No. P122204
Assignment Title: Supervision of Works for Small – Scale road Safety improvements in Imereti, Guria, Samegrelo-Zemo Svaneti and Kvemo Kartli regions (Lot 1 and Lot 2)
Contract/RFP No: SLRPII/CS/CQS-07

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Second Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consulting companies to express their interest in providing the following services: **Supervision of Works for Small – Scale road Safety improvements in Imereti, Guria, Samegrelo-Zemo Svaneti and Kvemo Kartli regions (Lot 1 and Lot 2).**

The estimated duration of assignment is 5 months (3.5 months for Lot 1 and 5 months for Lot 2) + Defects Liability Period of 12 months.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (*Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association*) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:

http://www.georoad.ge/?lang=eng&act=tenders&func=menu&uid=1490604057

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers* , January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

Required Qualification of the Consultant:

The Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services.

Shortlisting Criteria:

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

- General Experience in road infrastructure assignments;
- Similar experience in Supervision of road construction/rehabilitation assignments during the last 5 years (assignments completed in or after 2012);

Only SUCCESSFULLY COMPLETED assignments will be taken into account during evaluation.

Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

Interested consultants may obtain further information at the address: info@georoad.ge

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **August 29, 2017, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

გამოსათხოვარი



მეუღლე ეთერი, შვილები ნანა, ლევანი, გიორგი, დები ნანა, ლარისა, შვილიშვილები რომიკო, გიორგი, ბექა, ჯაბა, შვილთაშვილები ლევანი, ლიზა, დისშვილები ბაკური, რეზო, სიძე ილია ჯიშკარიანი, ნათესავები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან გვენცაძე

პანაშვიდი: 15, 16 აგვისტოს, 16 სთ;
გამოსვენება: 17 აგვისტოს, 15 სთ, ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან (დათა გულუას აღმართი №2), დაკრძალვა ეკლესიის ეზოში.

საქართველოს პარლამენტართა პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს 1999-2004 წწ. მოწვევის პარლამენტის წევრი

რომან გვენცაძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

რეზო ამაშუკელი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვაჟა გავაშელი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ნინო ქართველიშვილი, სპარტაკ ქობულია, ალეკო შენგელია, როლანდ ჯალაღანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიკეთითა და მოყვასის ერთგულებით გამორჩეული პიროვნება

ვაჟა გავაშელი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და მეგობრებს.

გურამ ახალაია ოჯახით სამძიმარს უცხადებს ქალბატონ ნელი გურგენიძეს დის

დალი გურგენიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და უხუცესი წევრის, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის

შოთა ქურდაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბათუმში, ზღვაში ახალგაზრდა გოგო დაიხრჩო

ბათუმში ზღვიდან მაშველებმა ახალგაზრდა გოგო გარდაცვლილი გამოიყვანეს. წინასწარი ინფორმაციით, გარდაცვლილი ზღვაში ნასვამ მდგომარეობაში შევიდა და გულის პრობლემა შეექმნა. ცხედარი ექსპერტიზაზე გადაიყვანეს.

მამაკაცმა სტუმარი მოკლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში მამაკაცმა სახლში მყოფი სტუმარი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა. შემთხვევა გამთენიისას მოხდა. მკვლელობაში ბრალდებულ მამაკაცს ეძებენ. ადგილობრივების ინფორმაციით, ისინი ქეიფობდნენ და მკვლელობა შელაპარაკების დროს მოხდა. შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით იძიებს, რაც განძრახ მკვლელობას გულისხმობს.

◎ ექიმი და გადარჩენილი სიცოცხლე

მადლობა თქვენ გულისხმიერებისთვის

მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრში, თბილისის საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთეს ჩემს შვილს, სამი შვილის დედას თინათინ ნიკოლაიშვილს. პროფესიონალმა ექიმებმა, გინეკოლოგიის განყოფილების გამგემ, ქირურგ-გინეკოლოგმა **ირინე ჯაჯანიძემ,** მისმა ასისტენტმა **ნინო ხათარიძემ,** ანესთეზიოლოგმა **თინათინ კუჭავამ** ლაპარასკოპიული მეთოდით ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს მას და შვილი გადამირჩინეს. გულწრფელი მადლობა მათ გულისხმიერებისა და დიდი პროფესიონალიზმისათვის.

კლინიკის დირექტორი გახლავთ პროფესორი **ბაადურ მოსიძე,** რომლის პროფესიონალიზმის გამოვლინებაცაა ის, რომ ეს არაჩვეულებრივი კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით და აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. პაციენტები აქ მუდამ დაცულად და იმედიანად გრძნობენ თავს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მათ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

პატივისცემით
თედო ნიკოლაიშვილი.

სურათზე: ექიმი-გინეკოლოგი ირინე ჯაჯანიძე და მისი ასისტენტი ნინო ხათარიძე ერთ-ერთ ავადმყოფთან შემოვლის დროს.

◎ ინტერნეტიდან

ფიგუს ცოლის კატალონიური ნოსტალგია

ლეგენდარულ პორტუგალიელ ფეხბურთელს ლუიშ ფიგუს შეუძლებელია ქალაქი ბარსელონა და კატალონიელი გულშემატკივრები კარგად აგონდებოდეს, რადგან, როგორც ყველას გვახსოვს, საფეხბურთო კლუბ „ბარსელონადან“ მადრიდის „რეალში“ ფიგუს გადაბარგება კატალონიელმა ქომაგებმა მეტად მტკივნეულად აღიქვეს და გინებისა და ქოქოლის გარდა, პორტუგალიელ ნახევარმცველს ღორის თავიც კი სტყორცნეს.

როგორც ირკვევა, ბარსელონასა და ბარსელონელი ქომაგების მიმართ ლუიშისგან სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს მის ცოლს, ერთ დროს ცნობილ შვედ მოდელსა და ეროტიკული ფილმების მსახიობს - ელენ სვედინს, რომელიც ამბობს, რომ მრავალი ქალაქი უნახავს, მაგრამ ბარსელონასთანა ლამაზი და დიდებული ამ ქალაქთა შორის არცერთია.

ჟურნალისტის მიერ ვერაგულად დასმულ კითხვაზე — „ელ კლასიკოს“ დროს ვის მხარესაა — ელენი ამბობს, რომ ქმრის ხათრით საფეხბურთო თვალსაზრისით უფრო მეტად მადრიდელებს ემხრობა, მაგრამ მის გულში კატალონიელებსაც დიდი ადგილი უჭირავთ და „ბარსელონა“ არასოდეს იქნება მეორეხარისხოვანი.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ანტარქტიდაში 91 ვულკანი აღმოაჩინეს

ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ანტარქტიდაში, ყინულების ქვეშ 91 ვულკანი აღმოაჩინეს. როგორც „Guardian“ იუწყება, ეს მთათმწკრივი შესაძლებელია დედამიწაზე ყველაზე დიდი ვულკანური სარტყელი აღმოჩნდეს.

ვულკანები სიმაღლეში 100 მეტრიდან 3,85 კილომეტრსაც აღწევენ. ისინი მატერიკის დასავლეთ ნაწილში აღმოაჩინეს. მათ 2-კილომეტრიანი ყინულის ფენა ფარავს. მეცნიერებს მათ აღმოსაჩენად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. ახლა ისინი არკვევენ, რამდენად აქტიურია ეს ვულკანები და არის თუ არა რისკი მათი ამოფრქვევისა.?

სიყვარული გისოსებს მიღმა



ბრიტანელი კრიმინალი, დაუდგრომელი და შფოთიანი პატიმარი მაიკლ გორდონ პიტერსონი, იგივე ჩარლზ ბრონსონი, აქტუალობას არ კარგავს.

მან სიცოცხლის უდიდესი ნაწილი 41 წელი პატიმრობაში გაატარა. ამ დროის განმავლობაში 120-მდე ციხე გამოიცვალა, თავს დაესხა 20 ბადრაგს, აიყვანა 11 მძევალი და სახელმწიფოს ნახევარი მილიონი ფუნტის ზარალი მიაყენა. ბრონსონი ამ ყველაფერთან ერთად, მწერალი და მხატვარიც გახლავთ. მან არტურ კესტლერის ჯილდო შვიდჯერ მიიღო.

დღეს იგი ყურადღების ცენტრში თავისი სასიყვარულო ისტორიით მოექცა. როგორც აღმოჩნდა, 64 წლის დამნაშავე გისოსებს მიღმა მესამეჯერ დაქორწინდა. მისი რჩეული 36 წლის საპნის ოპერების მსახიობი პოლა უილიამსონია. მათი ფლირტი წერილების წერიდან ჭეშმარიტ გრძნობაში გადაიზარდა.

ციხის ადმინისტრაციამ სიყვარულს კარი გაუღო და ბრონსონს საქორწილო ცერემონიალის ჩატარების ნებართვა მისცა. მას აგრეთვე 5 სტუმრის მოწვევის უფლებაც ჰქონდა. სიყვარულს, როგორც ჩანს, ციხის კედლებიც ვერ აკავებს. 2008 წელს ჩარლზ ბრონსონის ცხოვრებაზე ფილმი გადაიღეს, სადაც მთავარ როლს ტომ ჰარდი ასრულებს.

ლეონარდო - ლეონარდოს როლში

ჰოლივუდის უნიჭიერესი ვარსკვლავი, ოსკაროსანი ლეონარდო დი კაპრიო მხატვრის, არქიტექტორის, გამომგონებლისა და მრავალი რეგალიების მქონე გენიოსის ლეონარდო და ვინჩის როლს შეასრულებს.

ფილმი დაფუძნებული იქნება უოლტერ აიზექსონის წიგნზე „ლეონარდო და ვინჩი“. უფლებები ფილმის ეკრანიზაციაზე, კინოკომპანია „Paramount Universal“-მა მოიპოვა. პროდიუსერად თვითონ დი კაპრიო მოგვევლინება. აიზექსონის წიგნი აშშ-ში ოქტომბრიდან გაიყიდება. თავად ფილმის პრემიერის თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

უოლტერ აიზექსონი ჟურნალ „თაიმის“ ყოფილი რედაქტორია. მან უკვე დაწერა სტივ ჯობსის, აშშ-ის პრეზიდენტის ბენჟამენ ფრანკლინისა და ალბერტ აინშტაინის ბიოგრაფიები.

ჰოლივუდის ჯარსკვლავი კადრებებისას დაშავდა?

ჰოლივუდის ლამაზთვალება ვარსკვლავი ტომ კრუზი გარდა ნიჭიერებისა და გარეგნობისა, იმითაც გამოირჩევა, რომ იგი საკუთარ ფილმებში საშიშ ტრიუკებს კასკადიორის გარეშე ასრულებს.

მისი ერთ-ერთი ცნობილი ფილმოგრაფიის „შეუსრულებელი მისიის“ ახალი სერიის გადაღებისას მსახიობი დაშავდა. ფილმის გადაღებები ლონდონში მიმდინარეობს. ტომ კრუზი ერთ სცენაში სახლის სახურავიდან უნდა გადმომხტარიყო, რა დროსაც ფეხი დაუცურდა და კედელს მიენარცხა.

ვარსკვლავი გადასაღები მოედნიდან საავადმყოფოში გადაიყვანეს. იმედია, მისი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება და თაყვანისმცემლებს კვლავ განაცვიფრებს საკუთარი ფიზიკური მონაცემებით.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3902; ევრო - 2.8125;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0996;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4089;
1000 სომხური დრამი - 4.9921.

ამინდი 15 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+14,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge